ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 5 მარტი, 2018 №53 (7598) ფასი: 50 თეთრი

თელავის საკრებულომ იყალთოში „მეტროსთან ჯიხურების განთავსება“ აკრძალა

გვ.4

1 მარტიდან

კანდიდ ჩარკვიანი სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები



ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

თეა წულუკიანი თუ სალომე ზურაბიშვილი?

ვინ იქნება „ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი

ლადო სადღობელაშვილი: „ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, რომელ ფეხზე ადგება ივანიშვილი“

გვ.2

„ძალიან მალე ირაკლი კობახიძე ქართული მარშის დაკრულზე აჭიკჭიკდება“

„პუტინს სურდა, ქართველი ხალხი რუსეთის ტანკებს ყვავილებით დახვედროდა“

გვ.3

გოჩა მირცხულავა: „დაგვაბრალებდნენ მშვიდობიანი ცხინვალის წინააღმდეგ დივერსიის მოწყობას“

მამუკა გვაძაბია: „ოკუპაციის შესახებ კანონის შერბილება დაუშვებელია“

გვ.4

ვისზე უნდა გამოაცხადოს საქართველომ საერთაშორისო ძებნა

სამართალი გვ.7

შსს-მ ადამიანის გატაცებაში ბრალდებული 5-კაციანი ჯგუფი დააკავა

სოფელ ცაისში ორსართულიანი შენობიდან 16 წლის მოზარდი გადმოვარდა

ჩოხატაურის ცენტრში კაცის ცხედარი იპოვეს

ეკონომიკა

გვ.6

ბილ გეითსი მსოფლიოს ფინანსური კრიზისის გამეორებას არ გამორიცხავს

ხელისუფლების „პიარისათვის“ საბიუჯეტო დანახარჯები გაზრდილია

ზურაბ გუმბერიძე: „სატელევიზიო სარეკლამო ბაზარი რეალურად 11%-ით არის შემცირებული“

ISSN 1987-9385

5 პრემიერი: „გვაქვს ინფორმაცია, რომ ტატუნაშვილის ცხედარს უახლოეს დროში გადმოგვცემენ“

5 საქართველოს საპატრიარქო: „პატრიარქი კირილე ტატუნაშვილის ცხედრის გადმოცემის საკითხში ჩაერთო“

3 თიანეთში მეჭიაურს ქუცნაშვილის მოურავები აუმხედრდნენ

4 მთავარმა პროკურორმა ერთ წელიწადში 70.440 ლარის ოდენობით პრემია-დანამატები მიიღო

თეა წულუკიანი თუ სალომე ზურაბიშვილი?

შორენა მარსაგიშვილი

ლადო სადღობელაშვილი: „ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, რომელ ფეხზე ადგება ივანიშვილი“

„ქართულ ოცნებაში“ საპრეზიდენტო კანდიდატურის შესარჩევად სერიოზული კასტინგია გამოცხადებული. გავრცელებული ინფორმაციით, მმართველი გუნდის კანდიდატი ქალი იქნება. ქართული მარშის ერთ-ერთმა ლიდერმა ლადო სადღობელაშვილმა ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში, რომ ერთ-ერთ კანდიდატურად წულუკიანი მოიაზრებოდა.

მისივე თქმით, „ოცნებაში“ მეორე ქალი კანდიდატურაც განიხილებოდა და ეს სალომე ზურაბიშვილი იყო. სადღობელაშვილი ამბობს, რომ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის.

როდის მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ივანიშვილი, რა გეგმები აქვს ერთ-ერთ საპარლამენტო ფრაქციას, რას გეგმავენ ძმები გაჩეჩილაძეები, ვის დაკრულზე იჭიკჭიკებს ზაფხულის ბოლოდან ირაკლი კობახიძე? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.

– თქვენ დაახლოებით 2 თვის წინ განაცხადეთ, რომ „ოცნება“ თავის საპრეზიდენტო კანდიდატად თეა წულუკიანს მოიაზრებდა. ახლა ეს ინფორმაცია თითქმის დადასტურდა. თქვენი აზრით, ის იქნება საბოლოო კანდიდატი თუ შეიცვლება რამე?

– იმ მომენტამდე, სანამ კანდიდატურა დასახელდება, ბევრი რამე შეიცვლება. თეა წულუკიანს რაც შეეხება, მართლაც პირველი ვიყავი, ვინც თქვა, რომ ის მოიაზრებოდა „ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატად. მაშინ მმართველი ძალის წარმომადგენლები ამ თემაზე კულუარულადაც გაურბოდნენ საუბარს. ახლა, როგორც ჩანს, უკვე დაიწყეს ამბის გამოტანა.

ეს საკითხი ბოლომდე გადაწყვეტილი რომ ყოფილიყო, აუცილებლად გააკეთებდნენ საჯარო განცხადებებს. ისინი ჯერ დუმილს ინარჩუნებენ და ძალიან კარგად ვიცი მათი დუმილის მიზეზი – „ოცნებაში“ კიდევ ერთი კანდიდატურა განიხილება.

– კიდევ ერთი კანდიდატურა ისევ სალომე ზურაბიშვილია? 2 თვის წინ მასზე და თეა წულუკიანზე საუბრობდით.

– დიახ. ისევ სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურა განიხილება. „ოცნება“ რამდენიმე ჯგუფად არის გაყოფილი და ყველა თავის კანდიდატურას ლობირებს.

– სალომე ზურაბიშვილს ვინ ლობირებს?

– ვერა-ვაკეს „სასტავი“.

– ვერა-ვაკელების „სასტავში“ ვინ შედის?

– ვითომ სვეტკი ტიპები გოგა ხაინდრავა, ძმები გაჩეჩილაძეები. ეგენი და მათი ახლობლები ლობირებენ სალომეს.

– გაჩეჩილაძეებსა და ხაინდრავას იმხელა გავლენები აქვთ, რომ კანდიდატურას ლობირებენ?

– რა თქმა უნდა. სერიოზული გავლენები აქვთ. ვერ ნახეთ, რა ამბავი ატყდა, უცნობის სიძეს ტენდერი რომ ვერ მოიგო.

– ამხელა გავლენები თუ აქვთ, თავად რატომ ვერ მოხვდნენ პარლამენტში ან აღმასრულებელ ხელისუფლებაში?

– მერე, ვინ გითხრათ, რომ ამის მცდელობა ჰქონდათ? მათ ხელისუფლებაში ყოფნა არ სურთ. ისინი ხელისუფლებებთან ვაჭრობენ და ასე იწყობენ ცხოვრებას. გავრცელებული ინფორმაციით, უცნობი რაღაც გადაცემის გაკეთებას აპირებს. დაახლოებით ისეთი გადაცემა იქნება, ნაცების დროს რომ გააკეთა – საკანი №5. ახლაც ასეთ რამეს მოიფიქრებს და ხელისუფლებას გააკრიტიკებს. ეს „ოცნებასთან“ სავაჭროდ სჭირდებათ.

„ძალიან მალე ირაკლი კობახიძე ქართული მარშის დაკრულზე აჭიკჭიკდება“

სალომე ზურაბიშვილს, მათ გარდა, პარლამენტშიც რამდენიმე ადამიანი უჭერს მხარს. იმედი მაქვს, რომ ისინი თავისას ვერ გაიტანენ. ზურაბიშვილი კარგი პრეზიდენტი არ იქნება.

– რა გაძლევთ ამის თქმის საბაბს?

– ეს ქალბატონი ბოლომდე ვერ ჩამოვიდა პარიზიდან, ისეთ განცხადებებს აკეთებს, რომ ხშირად ავიწყდება, რომელი ქვეყნის პარლამენტში ზის. მაგას რომ თავი დავანებოთ, არ არის კარგი მაჟორიტარი. ის ჩემი მაჟორიტარიცაა და კარგად ვიცი ეს ამბები. მე ასეულობით მთაწმინდელი შემიძლია მოგიყვანოთ, რომლებიც მოყვებიან, როგორი დამოკიდებულება აქვს მათთან დეპუტატს. წარმომიდგენია, რას იზამს, პრეზიდენტი თუ გახდება.

თეა წულუკიანის პრეზიდენტობაც არ იქნება კარგი ამბავი. ეს ადამიანი უსაზღვროდ ამბიციურია.

– ფიქრობთ, რომ ივანიშვილის ნების წინააღმდეგ წავა?

– არა, მაგას როგორ გააკეთებს. ივანიშვილს ყველა დავალებას პირნათლად შეუსრულებს.

– მის კანდიდატურას ვინ ლობირებს, ივანიშვილი?

– ივანიშვილი არ ლობირებს. წულუკიანს მხარს ძველი მეოცნებეები უჭერენ.

– ძველ მეოცნებეებში ვის გულისხმობთ?

– ვოლსკი, კვაჭანტირაძე, ქანთარია და ეგეთი ტიპები.

– თქვენი აზრით, ივანიშვილი ვის მხარეზე იქნება?

– ეგ ჯერ თავად ივანიშვილმაც არ იცის.

– ეგ როგორ?

– ჩვეულებრივად. ივანიშვილს გადაწყვეტილებების მიღება უჭირს. ის საკმაოდ მერყევი ადამიანია. ხშირად ყოფილა, რომ მას უკვე მიღებული გადაწყვეტილება შეუცვლია.

შესაძლოა ამ მომენტისთვის ის წულუკიანის კანდიდატურას იწონებს, მაგრამ ხვალ ზურაბიშვილი მოეწონოს, ზეგ კი სულ სხვა ადამიანი დაასახელოს საპრეზიდენტო კანდიდატად.

ყველაფერი კი იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელ ფეხზე ადგება ბატონი ბიძინა. ამას სრული სერიოზულობით გეუბნებით, მარცხენა ფეხზე თუ ადგა, შესაძლოა წინა საღამოს მიღებული გადაწყვეტილება შეცვალოს.

აქედან გამომდინარე, ჯერ ნაადრევია იმაზე საუბარი, ვინ იქნება საპრეზიდენტო კანდიდატი. მართალია, ახლა წულუკიანსა და ზურაბიშვილზე საუბრობენ, მაგრამ ამ დღეებში ბიძინას შესაძლოა სხვა ვინმე მოუვიდეს თავში. სანამ კანდიდატურა ოფიციალურად არ დასახელდება, ძნელია იმის მტკიცება, ვინ იქნება კანდიდატი.

ახლა მთელი ყურადღება ამ თემაზე გადავიდა და აღარავის აინტერესებს ის ცვლილებები, რომლებიც მთავრობაში იგეგმება.

– დაახლოებით ერთი თვის წინ თქვენ ამბობდით, რომ პრემიერი მარტის დასაწყისში თანამდებობას დატოვებდა. კვირიკაშვილი ჯერ ისევ მთავრობის მეთაურია.

– ჯერ ისევ მარტის დასაწყისია. გიორგი კვირიკაშვილის წასვლა არჩილ ტატუნაშვილისა და ბორჯომის ამბების გამო ცოტა დაიგვიანებს. როგორც კი ამ ფრონტზე ყველაფერი დალაგდება, კვირიკაშვილი წავა.

– სად წავა, შემთხვევით ეგ ხომ არ იქნება პრეზიდენტობის კანდიდატი?

– გამორიცხულია. ეგ იგივეა, გენერალი რომ ოფიცრის თანამდებობაზე დანიშნო. იმის მოლოდინიც იყო, რომ „ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი ღარიბაშვილი იქნებოდა, მაგრამ ეს ადამიანი ახლა ჩინურ კომპანიაში მუშაობს.

– პრეზიდენტობა უფრო პრესტიჟული არ არის, ვიდრე ჩინურ კომპანიაში მუშაობა?

– ეგ მიღებული პრაქტიკაა. მთავრობის მეთაურები ხშირად მუშაობენ კომპანიებში მრჩევლებად. ღარიბაშვილს, თუ არ ვცდები, 50.000 ექნება ხელფასი. აქედან გამომდინარე, სულ აღარ უნდა პრეზიდენტობა.

– ფიქრობთ, რომ კვირიკაშვილიც ასეთ სამსახურს იშოვის?

– ვერ გეტყვით. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მის წასვლას პარლამენტში რაღაც ძალების გააქტიურება მოჰყვება.

– ვინ გააქტიურდება?

– გეგიძის ფრაქცია. ამ ფრაქციაში შეკრებილი ადამიანები ნაციონალებს დასანახად ვერ იტანენ, რაღაც აქტივობებს აუცილებლად დაიწყებენ. სხვათა შორის, ამ გუნდსაც ჰყავს ფავორიტი პრეზიდენტის პოსტზე. ისინი სალომე ზურაბიშვილს უჭერენ მხარს.

ივანიშვილს ახლა პრეზიდენტის კანდიდატურის შესარჩევად არ სცალია. ის მომავალი პრემიერის შერჩევაზე მუშაობს.

– ადრე თქვენ თქვით, ფინანსთა მინისტრი მამუკა ბახტაძე შეარჩიაო.

– კი შეარჩია, მაგრამ აქაც უჭირს საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. ისე, ბახტაძე მისთვის ყველაზე მისაღები უნდა იყოს. ის ივანიშვილის მიერ ადვილად მართვადი იქნება.

– კვირიკაშვილი არ იყო ადვილად მართვადი?

– როგორ არა, მაგრამ მას ყავლი გაუვიდა. ახალი პრემიერია საჭირო. ისე, თუ აკვირდებით, ბახტაძის გარშემო როგორი დადებითი ფონი შეიქმნა. არავის აღიზიანებს. თავიდან კვირიკაშვილიც ასე იყო.

– თავიდან ასე იყო, მაგრამ მერე პარლამენტში კეთილების გინებაზე გადავიდა.

– ბახტაძე ალბათ აღარ გაიმეორებს ამას. მას, გიორგი გახარიასგან განსხვავებით, კიდევ ერთი პლუსი აქვს – ის ბიძინა ივანიშვილის შვილის, უტას მეგობარია.

– გახარიასგან განსხვავებითო და ისევ საუბრობენ გახარიას გაპრემიერებაზე?

– მისი კანდიდატურა დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. ამ ადამიანს კარგად იცნობენ მოსკოვში. მას სწორედ აქ აქვს ბიზნესი და აქ იშოვა ფული. მოსკოვის თხოვნით დანიშნა ის ივანიშვილმა შს მინისტრად. გახარია ალბათ შსს-ში დარჩება, პრემიერი კი მამუკა ბახტაძე იქნება.

წინ ბევრი საინტერესო ცვლილებები გველოდება. ზაფხულის ბოლოს საქართველოში ბევრი რამე შეიცვლება.

– პრემიერი ბახტაძე განახორციელებს ამ ცვლილებებს?

– არა, ამერიკის ახალი ელჩი.

– აშშ-ის ახალმა ელჩმა აქ რა ცვლილებები უნდა განახორციელოს?

– ძალიან სერიოზული. ნორმალურ ქვეყანაში აშშ-ის ელჩების ცვლილებები ბევრს არაფერს ნიშნავს, საქართველოში კი ისინი ნამდვილ დიქტატს ახორციელებდნენ. ახლა ყველაფერი ისეა, როგორც იან კელის უნდა. ის ძალიან მალე მიდის საქართველოდან. ახალი ელჩი ძალიან ბევრ რამეს შეცვლის.

– რატომ გგონიათ, რომ ახალი ელჩი აქ რამეს შეცვლის?

– იმიტომ, რომ ახალი ელჩი უკვე ტრამპის ადმინისტრაციის მიერ იქნება დანიშნული. გაპრეზიდენტებიდან ძალიან მალე ტრამპმა ევროპის წამყვან ქვეყნებში ელჩები შეცვალა. და რა მოხდა? ავსტრიასა და გერმანიაში არჩევნებში ნაციონალისტებმა დიდი უპირატესობა მოიპოვეს.

დარწმუნებული ვარ, საქართველოშიც ასე იქნება. ეროვნულად ვინც აზროვნებს, ყველა რატომღაც პრორუსულად ითვლება. ჩამოვა ახალი ელჩი და ვნახავთ, რაც მოხდება.

დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები – ასოებს ანუ არასამთავრობოებს სერიოზული პრობლემები შეექმნებათ. საუბარი მაქვს სოროსის მიერ გაჯეჯილებულ ასოებზე. ხელისუფლება, მათ შორის კულულა კობახიძე, მაგათ დაკრულზე ცეკვავს და ჭიკჭიკებს. რამდენიმე თვე მოიცადეთ და ნახავთ, ეგ კობახიძე ქართული მარშის ხმაზე თუ არ აჭიკჭიკდება.

– ქართული მარშის ხმაზე რატომ უნდა აჭიკჭიკდეს?

– იმიტომ, რომ ჩვენ ვართ ეროვნული ძალა. დარწმუნებული ვარ, აშშ-ის ახალი ელჩისთვის ჩვენი მოძრაობა მისაღები იქნება. გამყიდველი ასოების დრო წარსულს ჩაბარდა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

თიანეთში მეჭიაურს ქუცნაშვილის მოურავები აუმხედრდნენ

თიანეთის მერი, თამაზ მეჭიაური, მერიის ყოფილ თანამშრომლებს, რომლებიც მას პოლიტიკურ დევნაში ადანაშაულებენ, „ქუცნაშვილის მოურავებს“ უწოდებს.

მეჭიაური ირწმუნება, რომ აღნიშნული ადამიანების გათავისუფლება დისციპლინური კომისიის დასკვნის საფუძველზე მოხდა.

მისი თქმით, გათავისუფლებული პირები მთის კანონის უხეში დარღვევით ანიჭებდნენ ამა თუ იმ ადამიანებს სტატუსს.

– მათი განცხადებები საბოტაჟია და ცილისწამება. ისინი ჩემივე სამსახურში ცდილობდნენ პროცესის პარალიზებას. ისინი იმართებოდნენ ქუცნაშვილის მიერ. განთავისუფლება მოხდა დისციპლინური კომისიის დასკვნის საფუძველზე. დასკვნა იყო საკმაოდ მძიმე. დარღვევები გამოვლინდა 7 ტერიტორიულ ერთეულში. ეს დარღვევები ეხებოდა მთის კანონიდან გამომდინარე სტატუსის მინიჭებას. აქ პოლიტიკური საკითხი საერთოდ არ დგას, – აცხადებს თიანეთის მერი.

თიანეთის მერიის ყოფილი თანამშრომლები კი თამაზ მეჭიაურს პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებაში ადანაშაულებენ.

ნატო სუარიშვილი, გრიგოლ კახოშვილი და კახაბერ კუჭავა ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ და პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს, მცხეთა-მთიანეთში სახელმწიფო რწმუნებულს მიმართავენ.

– განაწყენებულმა მერმა წარმომადგენლების მიმართ წამოიწყო დისციპლინური წარმოება, რომელიც პირველი დღიდან ბოლო დღემდე მიმდინარეობდა დარღვევებით. წარმოების დამთავრებამდე არც კი გაგვაცნეს საქმის მასალები. მიუხედავად თავისივე დანიშნული დისციპლინური კომისიის დადებითი დასკვნისა (ხმათა უმრავლესობით 4/3 ზე) და იმ ფაქტისა, რომ წარდგენილი გადაცდომების არცერთი ფაქტი არ დადასტურდა, გამოიტანა არათანაზომიერი გადაწყვეტილება და წუხელ გამთენიისას 04:00 საათზე გაგვათავისუფლა სამსახურიდან. ამის შესახებ კი სოციალური ქსელის პირდაპირი ეთერით გვამცნო. ჩვენს ადგილებზე კი დღესვე დანიშნა საკუთარი პარტიული სიის წარმომადგენლები.

ასე შეურაცხყოფილად, დამცირებულად და უფლებაჩამორთმეულად არასოდეს გვიგრძნია თავი და ეს ყველაფერი მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ჩვენ წინასაარჩევნოდ პარტია „ქართული ოცნების“ კანდიდატს დაუჭირეთ მხარი და არა მას. მიუხედავად იმისა, რომ მართლაც სრულად ვიზიარებთ პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ კურსსა და მიზნებს და პირადად ვართ ბოლო 4 წლიანი აღმშენებლობის პროცესის მონაწილეები, ვერ დასახელდება თუნდაც ერთი ფაქტი, როდესაც რომელიმე ჩვენთაგანმა, თავისი პოლიტიკური სიმპათიები ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი მიზნებისთვის ან სამუშაო დრო და რესურსი გამოიყენა პირადი თუ პარტიული მიზნებისთვის. გაუგებარია რისთვის ვისჯებით?! რატომ ხდება ჩვენი პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაცია!? გთხოვთ განიხილოთ ჩვენი წერილი და იმსჯელოთ თიანეთის მერიაში გაბატონებულ მასობრივი დისკრიმინაციის ფაქტებთან დაკავშირებით. დროა, ყველა კომპეტენტურმა პირმა ხმა აღიმაღლოს ამ უსამართლობის წინააღმდეგ, თორემ ცოტა ხანში თიანეთის მუნიციპალიტეტში აღვირახსნილობა დაისადგურებს, – ნათქვამია მიმართვაში.

მედიანიუსი

„პუტინს სურდა, ქართველი ხალხი რუსეთის ტანკებს ყვავილებით დახვედროდა“

შორენა მარსაგიშვილი

გოჩა მირცხულავა: „დაგვაბრალებდნენ მშვიდობიანი ცხინვალის წინააღმდეგ დივერსიის მოწყობას“

„მოსკოვი ცდილობს, საქართველოს ხელისუფლების სათავეში თავისი მონები მოიყვანოს“

რა კავშირშია ტატუნაშვილის მკვლელობა რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებთან, ვინ უწყობს მოსკოვს ხელს ჰიბრიდული ომის წარმოებაში, რა საფრთხის წინაშე დგას საქართველო? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი გოჩა მირცხულავა ესაუბრება.

– არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობის ფაქტმა საზოგადოებაში ერთმნიშვნელოვანი რეაქცია გამოიწვია – ომი გრძელდება. როგორ შეაფასებდით თავად ამ ფაქტს და რას მიიჩნევთ მის უმთავრეს მიზეზად?

– მე ვიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ ტატუნაშვილმა სეპარატისტებსა და რუსეთის სპეცსამსახურებს გეგმები აურია სწორედ პუტინის არჩევნების წინ, როდესაც ამ ძალას სურდა, არჩილი და მისი სახით საქართველო წარმოეჩინა „მშვიდობიანი ცხინვალის“ წინააღმდეგ დივერსიული აქტების მომწყობ მხარედ. სათანადო ნარატივის მოფიქრებასაც ხომ არ სჭირდებოდა ტვინის ღრძობა, მხოლოდ „მძინარე ცხინვალი“ უნდა ჩანაცვლებულიყო „მშვიდობიანი ცხინვალით“.

მიადევნეთ თვალყური, რას აბრალებენ არჩილ ტატუნაშვილს – რომ ის რუსეთის პრეზიდენტის არჩევნების წინ გეგმავდა ცხინვალში დივერსიული აქტების მოწყობას.

ეს გეგმა უფრო შორსმიმავალი იყო და ის მხარდაჭერილი უნდა ყოფილიყო საქართველოს ტერიტორიიდან. ამ გეგმის არარეალიზებულ ნაწილად მივიჩნევ თუნდაც ქართული ინტელიგენციის წერილს, რომელმაც ჩვენს საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. მათთვის სამწუხაროდ და ჩვენთვის, უფრო სწორად, ტატუნაშვილისთვის სასახელოდ, იგი არ ჩაჯდა რუსულ გეგმაში და უკვე შეგვიძლია, დადასტურებულად ვთქვათ, რომ თავი შეაკლა სეპარატისტებს, რითიც დაანგრია ფსბ-ს სცენარი. სხვა შემთხვევაში ტატუნაშვილის წინააღმდეგ ბრალდებას მოჰყვებოდა ინტელიგენციის წერილი, ხოლო შემდეგ ვლადიმერ პუტინ, იმავე სიტყვაში, სადაც „ზემძლავრი“ იარაღის შესახებ ანიმაციური ფილმის დემონსტრირება მოახდინა, იტყოდა, რომ საქართველოში არიან პროგრესული ძალები და არა მხოლოდ ტატუნაშვილები, რომლებიც ცდილობენ რეგიონში ვითარების არევას და „მშვიდობიანი ცხინვალის“ წინააღმდეგ ილაშქრებენ. მართალია, ეს მსჯელობაა, მაგრამ სრულად ჯდება მოვლენათა განვითარების ჯაჭვში.

– თუ 2008 წლის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს მივადევნებთ თვალს, ცხადი ხდება, რომ მშვიდობა საკმაოდ ძვირი გვიჯდება. რა არის ამის მიზეზი?

– ჰიბრიდული ომი, რომელსაც რუსეთი არათუ საქართველოში, მთელ მსოფლიოში აწარმოებს. აქ მთავარი ამ ომის გააზრებაა. აქ უმთავრესი გაგება შემდგომში მდგომარეობს – ომში გყავს მოწინააღმდეგე, რომელსაც ამარცხებ ან რომელთანაც მარცხდები. თუმცა ყველა ომს მოჰყვება დრო, როდესაც ქვემეხები დუმან. ამ დროს არის მნიშვნელოვანი იმის გააზრება, რა გსურს მშვიდობის დროს და საით უნდა წავიდეს ქვეყანა, როგორ უნდა განვითარდეს ის. უფრო დეტალურად – აქვს თუ არა სახელმწიფოს იდეოლოგია, რომლის ძირითად პრინციპებზე თანხმდება ყველა პოლიტიკური ძალა და რომელიც არ იცვლება ხელისუფლებათა ცვლილებების კვალდაკვალ.

სამწუხაროდ, ჩვენ ასეთი ეროვნული იდეა არ გვქონდა და არ გვაქვს. დღემდე ვერ გავიაზრეთ, რა უნდა გვეკეთებინა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, როდესაც გვეგონა, რომ მხოლოდ ბორჯომი და ჩაი იქნებოდა საკმარისი ქვეყნის შესანახად და ეკონომიკური წარმატებისთვის. ჩვენ ვერ გავიაზრეთ ის, რომ თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობას სჭირდებოდა განათლებული და შრომისმოყვარე მოქალაქე და მთელი პერიოდი იმაზე ბჭობაში გავატარეთ პირობითად, „ქათამი უფრო ადრე გაჩნდა თუ კვერცხი“. შესაბამისად, ვერ დავლაგდით, ვერ ვიშრომეთ, ვერ ვიომეთ, ვერ ვისწავლეთ და ა.შ.

„ვარდების ხელისუფლების“ პერიოდში თვალი მოგვჭრა აღმშენებლობამ, ჩვენს სახლებში აჩახჩახებულმა ნათურებმა – „სინათლის ქალაქებმა“, მაგრამ სწორედ რომ ჩვენი არასათანადო განათლებისა და პრინციპულობის გამო იმდენად დავომეთ ჩვენი უფლებები, რომ „ნაბან წყალს ბავშვიც გადავაყოლეთ“.

დიახ, ახლა საქართველოში ჰიბრიდული ომი მძვინვარებს და ამასაც ვერ ვიაზრებთ, ვერ ვითავისებთ. რატომ? იმიტომ, რომ პარაზიტულ საზოგადოებად ვყალიბდებით, რომელსაც მუდამ ზევიდან უნდა მიუთითონ, რა აკეთოს. ამ დროს რა მითითება უნდა იმის გააზრებას, რომ რუსეთი მტერია და შენი ქმედებებითა და სიტყვით მისი საქმე არ უნდა აკეთო.

– საიდან უნდა მოვიდეს ეს იდეა და ვინ უნდა შესთავაზოს ქვეყნის მოსახლეობას?

– საერთო ეროვნული იდეა პოლიტიკური და საზოგადოებრივი კონსენსუსის – შეთანხმების საგანი უნდა იყოს. ეს რთული ფორმულაა. მაგალითისთვის საქართველოს ახალი კონსტიტუციაც კმარა, როდესაც მმართველმა უმრავლესობამ ვერ მოახერხა კონსენსუსის მიღწევა და ამით აბსოლუტურად ნიველირება მოახდინა იმ ცალკეული მნიშვნელოვანი და სასიკეთო ცვლილებებისა, რომლებიც კონსტიტუციაში აისახა. სამწუხაროდ, პოლიტიკური ამბიციებისა და მადის საკითხში საქართველოს ყველა ხელისუფლება ერთმანეთს ჰგავს.

– რეალურად, ჰიბრიდული ომი ჩვენს ყოველდღიურობაში ასე ძლიერ არ იგრძნობა. რა არის ამის მიზეზი – ხელისუფლების არასათანადო ქმედება თუ ჩვენი, საქართველოს მოქალაქეების მიერ პრობლემის გაუცნობიერებლობა?

– ზუსტად ამას მივაქციე ზემოთ ყურადღება. რაც შეეხება ხელისუფლებას, აქ საქმე საკმაოდ რთულად არის. „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მის მიერ დეკლარირებულ რუსეთის „არგაღიზიანების“ პრინციპს პირნათლად ასრულებს. პირველად ბოლო ათი წლის განმავლობაში რუსეთი სავაჭრო ბრუნვის მიხედვით მოწინავეთა რიგებს დაუბრუნდა. ვიღაც იტყვის, რომ ეს კარგია. მე ვამბობ, რომ ეს ცუდია, თან იმ პირობებში, როდესაც გვაქვს უფრო დიდი ბაზარი იმავე ევროკავშირისა და თუნდაც ჩინეთის სახით. ცუდია იმიტომაც, რომ ეს პროცესი ნებისმიერ დროს შესაძლოა კრემლმა ჩვენ წინააღმდეგ გამოიყენოს და ამ პოლიტიკის საფუძველზე ერთ მშვენიერ დღეს ქვეყანა ეკონომიკურ კოლაფსში აღმოჩნდეს. ამავდროულად, ამ პრინციპის საფუძველზე ჩვენ გავიმიჯნეთ ყოველგვარ მორალურ დათქმებს მტრის გააზრებისა და მასთან ურთიერთობის ასპექტში.

გვავიწყდება, რომ რუსეთის ბუნება საუკუნეებია არ იცვლება და მას შეუძლია, ნებისმიერ დროს გვიმუხთლოს. პარალელურად ვხედავთ პროცესს, რომ „წიწმატისა და ღვინის“ სტრატეგია ჩვენი ქვეყნისთვის აბსოლუტურად მიუღებელი აღმოჩნდა. თავად რუსეთმა რა დაგვითმო? ხომ გრძელდება მცოცავი ოკუპაცია? ხომ გვიხოცავენ თანამოქალაქეებს? ხომ ჩაგრავენ ქართველებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ავიწროებენ ყოველმხრივ? მაშინ, რა შეიცვალა ამ პოლიტიკით? მხოლოდ ის, რომ არ გვბომბავენ? პარალელურად რას მივაღწიეთ?

საქართველოში რუსეთი ჰიბრიდულ ომს აწარმოებს და ამაში ჩართულია არა მხოლოდ ქართველების ერთი ნაწილი, როგორც ვამბობთ ხოლმე, საბჭოთა არისტოკრატია და ინტელიგენცია, არამედ რიგითი მოქალაქეები, რომლებსაც ტვინს ურეცხავენ. პროცესში მონაწილეობენ მედიასაშუალებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მმართველობისა და თვითმმართველობის ცალკეულ სტრუქტურებში დასაქმებული პირები.

ამ პირობებში სახელმწიფოსთვის მართლაც რომ რთულია წინააღმდეგობა და თან იმის საჯაროდ აღიარება, რომ ის ჩართულია ჰიბრიდულ ომში, თუმცა, მაინც ვფიქრობ, რომ სახელმწიფო სტრუქტურებს ეს პროცესი ბოლომდე გააზრებული არ აქვთ და, შესაბამისად, არც არსებობს წინააღმდეგობის არანაირი სტრატეგია. პროცესი თვითდინებაზეა მიშვებული.

– როგორ და რა ხერხებით უნდა დაუპირისპირდეს ხელისუფლება რუსეთს ამ პროცესში?

– სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ანალიტიკოსები, ისტორიკოსები, უსაფრთხოების სფეროს სპეციალისტები და ა.შ. წინააღმდეგობის მზა რეცეპტი რომც არსებობდეს, არ მიმაჩნია, რომ ამაზე ღიად უნდა ვისაუბროთ. ამ ომში გაშიშვლება და გეგმების გამომზეურება დაუშვებელია. ასევე დაუშვებელია პროცესის წაყრუება და მოჩვენებითობა, თითქოს რაღაც კეთდება, მაშინ როდესაც დინამიკაში დაკვირვებით ბრძოლებს ვაგებთ.

– როგორი უნდა იყოს ამ ომში საქართველოს მოსახლეობის როლი?

– ჩვენ ხშირად გვიყვარს ცნობილი ფრაზის მოხმობა – „თუ მთელმა ერმა გამარჯვება არ მოინდომა“, მაგრამ ამის იქით ვერ მივდივართ. შესაძლოა, ეს ეპოქალურ ფრაზადაც ჩაითვალოს, მაგრამ აქ დათქმას აქვს მნიშვნელობა – უნდა მოანდომებინო. დღეს ეს ვითარებაა, სხვა გარემოებები და ისტორიული რეალობაა. ამისთვის გვყავს და ვირჩევთ ხელისუფლებებს, ლიდერებს.

ხალხის კონსოლიდაცია პრობლემის გარშემო სწორედ რომ სახელმწიფოს ვალდებულება და მოვალეობაა. აი, აქ არის საჭირო გამჭრიახობა. სულაც არ არის სავალდებულო, პრემიერ-მინისტრი ან სხვა ჩინოსანი ამაზე ტრიბუნებიდან საუბრობდნენ, მაგრამ სახელმწიფოს ხელშეწყობით უნდა იყვნენ მიზნობრივი ჯგუფები, რომლებიც პრობლემას აუხსნიან მოსახლეობას.

პრობლემა არ უკავშირდება რომელიმე ცალკეულ პოლიტიკურ ძალას და ის გლობალური ხასიათისაა. გონიერი ხელისუფლება სამოქმედოდ ოპოზიციასაც გამოიყენებდა და მას მოკავშირედ აქცევდა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

მამუკა გვაძაბია: „ოკუპაციის შესახებ კანონის შერბილება დაუშვებელია“

ვისზე უნდა გამოაცხადოს საქართველომ საერთაშორისო ძებნა

გულიკო ბალაძე

დამოუკიდებელი ექსპერტი მამუკა გვაძაბია „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ წინააღმდეგია ოკუპაციის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანისა და გარკვეული პუნქტების შერბილებისა.



– სოციალური ქსელების მეშვეობით ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმურ უმაღლეს საბჭოში ერთ-ერთი ფრაქციის ინიციატივით გაიმართა გაფართოებული სხდომა, რომელსაც საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. სხდომაზე განიხილებოდა დეოკუპაციის კანონში ცვლილებების შეტანის საკითხი, რომლითაც უნდა მიმართონ საქართველოს პარლამენტს. მსჯელობა იყო კანონის ზოგიერთ საკითხში შერბილებასა და ზოგიერთ საკითხში გამკაცრებაზე. ვფიქრობ, ზოგიერთ პუნქტში კანონის გამკაცრება, ზოგიერთ პუნქტში კანონის შერბილების შესაფუთად კეთდება. ოკუპაციის შესახებ საქართველოს კანონის შერბილების ინიციატივა ქვემოდან არ მოდის. ეს ინიციატივა მოდის ცენტრალური ხელისუფლებიდან. ოკუპაციის კანონის შერბილებაზე დიდი ხანია საუბრობენ. ამ ეტაპზე ოკუპაციის შესახებ კანონის შერბილების საკითხის განხილვა უადგილოა. იმ ფონზე, რაც ხდება სამაჩაბლოში, უბრალოდ, სამარცხვინოდ მიმაჩნია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ე.წ. ლეგიტიმური უმაღლესი საბჭოს რომელიღაც ფრაქციის ქმედება, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ მამუკა გვაძაბიამ.

– ბატონო მამუკა, რამდენადაც ვიცი, ღონისძიება უკვე დაგეგმილი იყო, როცა ტატუნაშვილის გარდაცვალების შესახებ ცნობილი გახდა. ვფიქრობ, უბრალოდ დაემთხვა ეს განხილვა ტატუნაშვილის გარდაცვალებას.

– როგორი დაგეგმილიც უნდა ყოფილიყო, უბრალოდ, ელემენტარული ეთიკისა და თანაგრძნობის ამბავია – რა განაცხადიც უნდა ყოფილიყო და ვინც უნდა ყოფილიყო მიწვეული, ღონისძიების გადადება შეიძლებოდა მანამ, სანამ ჩვენი გმირის ცხედარს ქართველი ხალხი მიწას მიაბარებდა. ეს არის ძალიან უპასუხისმგებლო და გულცივი დამოკიდებულება იმ პრობლემების მიმართ, რომლებიც საქართველოში ზოგადად არის ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

– კონკრეტულად, ოკუპაციის შესახებ კანონის შერბილებას ეწინააღმდეგებით?

– დეოკუპაციის კანონის შერბილების არანაირი აუცილებლობა არ არის. როგორც სოციალური ქსელებიდან შევიტყვე (გთხოვთ, ჩემი პოზიცია შერბილებულად არ წარმოადგინოთ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია), ღონისძიებაში ისეთი ადამიანები მონაწილეობდნენ, რომლებმაც თავის დროზე არძინბას მოსკოვიდან ჩამოყვანას ხელი შეუწყვეს, შემდეგ პირდაპირ მონაწილეობდნენ აფხაზეთში დაძაბულობის ესკალაციაში და ერთ-ერთ მათგანს ხელიც კი აქვს მოწერილი აფხაზეთის, როგორც რესპუბლიკად და კონფლიქტის მხარედ ირიბ აღიარებაზე. ამიტომ ოკუპაციის კანონის შერბილება, მით უმეტეს, იმ ადამიანების ხელით, აბსოლუტური უზნეობაა. მე ეს სიტყვა შემიძლია თამამად ვიხმარო. ოკუპაციის კანონის შერბილების არანაირი აუცილებლობა არ არსებობს.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

„პუტინს სურდა, ქართველი ხალხი რუსეთის ტანკებს ყვავილებით დახვედროდა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

რუსეთი ჩვენს ქვეყანაში მის მიმართ კეთილგანწყობის ფონს ქმნის, რაც სამომავლოდ შეიძლება მორიგი აგრესიისთვის იქნეს გამოყენებული. ამ პროცესში ერის, საქართველოს მოსახლეობის გაერთიანება აუცილებელია. ეს სწორად უნდა გაიაზროს ხელისუფლებამ და პოლიტიკურ ოპონენტებთან ზიზღის ენაზე საუბარი უნდა დაასრულოს, ისევე, როგორ ოპოზიციამ უნდა დაასრულოს ხელისუფლების ქილიკი ცალკეულ საკითხებზე.

– საზოგადოებისა და პოლიტიკური ძალების დაპირისპირების ზრდისთვის შესაძლოა რუსეთმა საპრეზიდენტო არჩევნებიც გამოიყენოს?

– რუსეთს ამ საპრეზიდენტო არჩევნებზე ეყოლება თავისი ფავორიტი და შესაძლოა მხოლოდ ერთი არა, ანუ ის ცალკეულ კანდიდატებთან დაიწყებს მოლაპარაკებებს, თუ უკვე დაწყებული და დასრულებულიც არ აქვს. ჩვენ არ გვეყოლება კანდიდატი, რომელიც ღიად იქნება კრემლზე მიბმული ან, ასეთის ყოლის შემთხვევაში, სულაც არ იქნება რუსეთის მთავარი კოზირი.

ცალკეული პოლიტიკოსები უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ პრეზიდენტის უფლებები ნიველირებულია, ინსტიტუტი – დაკნინებული. ასეთ დროს შესაძლოა ამომრჩეველს გაუჩნდეს განცდა – საერთოდ რატომ უნდა მივიდეს არჩევნებზე უუფლებო პრეზიდენტის ასარჩევად? ესეც იმ ომის ნაწილია – ნიჰილიზმის დათესვა ცალკეული პროცესების მიმართ. მაგრამ, რატომ გვავიწყდება, რომ ეს უუფლებო პრეზიდენტი ქვეყნის მთავარსარდალია, ქვეყანას საგარეო ურთიერთობებში წარმოადგენს და რომ ეს უუფლებო პრეზიდენტი, ფაქტობრივად, პოლიტიკური მედიატორია ქვეყანაში?

შესაბამისად, ძალიანაც ნუ დავაკნინებთ პრეზიდენტის როლს და, შესაბამისად, ნურც იმით დავიმშვიდებთ თავს, რომ რუსეთს ეს არჩევნები არ აინტერესებს. აგერ, პატრიარქის მოსაყდრე დაგვინიშნა რუსეთმა და ვდუმვართ. პრეზიდენტზე უარს უტყვის?

– რა რეალური საფრთხე ან საფრთხის კონტურები იკვეთება ამჟამად რუსეთის მხრიდან?

– გახსოვთ 2008 წელი? იმის მიუხედავად, რომ საქართველოშიც გვყავს არაერთი მოღალატე და იდიოტი, რომლებიც აცხადებენ, რომ საქართველომ იერიში „მძინარე ცხინვალზე“ მიიტანა, მაშინ რუსეთის ამოცანა სულაც არ იყო მხოლოდ სეპარატისტულ რეგიონებში გამაგრება. ამ რეგიონებს ის ისედაც აკონტროლებდა. მაშინ პუტინის ამოცანა იყო, რომ ქართველი ხალხი რუსეთის ტანკებს ყვავილებითა და ოვაციებით დახვედროდა, რაც მას შესაძლებლობას მისცემდა, ტრიუმფალური მარშით შემოსულიყო თბილისში და აქ დროებითი ხელისუფლება დაესვა, შემდგომ კი ჩატარებულიყო „დემოკრატიული“ არჩევნები და, ვინ გაიმარჯვებდა ამ არჩევნებში, გასაგებია. ჩვენ დღეს რუსეთის მეფისნაცვალი უნდა გვყოლოდა ქვეყნის სათავეში.

ჰიბრიდული ომის მიზანს ამჟამად ის წარმოადგენს, რომ საქართველოს ხელისუფლებაში ტოტალურად მოვიდნენ რუსეთის მონები, ამისთვის კი საჭიროა შესაბამისი ფონის შექმნა, სწორედ იმ ფონის, რისი მცდელობაც იყო „შეუვალი ავტორიტეტების“ – სტურუას, ამაშუკელისა და მათი საძმოს მხრიდან წერილის დაწერა, რაც მხარდაჭერილი იყო ცალკეული პოლიტიკური ძალების მიერ.

ამიტომ აუცილებელია, ხელისუფლებამ და საზოგადოებამ ეს სახადი მოიხადონ და საბჭოთა არისტოკრატიას ერთხელ და სამუდამოდ მიუჩინონ სათანადო ადგილი ისტორიის სანაგვეზე, უფრო მეტიც – მათი პოლიტიკური უტილიზაციაც მოახდინონ.

ასეთ დროს რუსეთს გამოეცლება ე.წ. ინტელექტუალების იდეოლოგიური მხარდაჭერა და იარაღით მოუწევს ჩვენი დაპყრობა, რაც, მერწმუნეთ, მნიშვნელოვნად შეასუსტებს მის პოზიციებს, იმის მიუხედავად, რომ პუტინმა რამდენიმე დღის წინ დასავლეთის წინააღმდეგ ცივი ომი განაახლა და ამით ყველა საერთაშორისო შეთანხმება თავზე გადაახია საერთაშორისო თანამეგობრობას.

თელავის საკრებულომ იყალთოში „მეტროსთან ჯიხურების განთავსება“ აკრძალა

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2017 წლის 18 აგვისტოს სოფელ იყალთოს განაშენიანების გეგმა დაამტკიცა, სადაც აღნიშნულია, რომ მეტროსადგურების შესასვლელთან 5-მეტრიან რადიუსში არ დაიშვება ჯიხურებისა და დროებითი ნაგებობების განთავსება.

დადგენილება №24 თელავის თემის საკრებულომ 2017 წლის 18 აგვისტოს გამართულ რიგგარეშე სხდომაზე მიიღო, რომელსაც 32 წევრიდან 20 ესწრებოდა. სხდომის ვიდეოჩანაწერი მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელშია გამოქვეყნებული.

დადგენილება „საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნებიდან, – 2017 წლის 24 აგვისტოდან შევიდა ძალაში, რის შემდეგაც მასში რაიმე ცვლილება აღარ მომხდარა.

ამავე დადგენილებაში ასევე აღნიშნულია, რომ მიწის ნაკვეთების განაშენიანებასთან დაკავშირებით განსაზღვრული ზოგიერთი რეგულაცია არ ვრცელდება აეროპორტების, საზღვაო პორტების, რკინიგზისა და საჰაერო-საბაგირო ნაგებობებზე, ჰიდრო, თბო და ატომურ ელექტროსადგურებზე.

ამგვარი ჩანაწერების ნორმატიულ აქტში ასახვა, სავარაუდოდ, განპირობებულია ქალაქ თბილისის განაშენიანების გეგმის მექანიკური კოპირებით, რომელიც დედაქალაქის საკრებულომ 2016 წლის 24 მაისს დაამტკიცა.

რეგინფო

ოზურგეთსა და ფოთში საგამოცდო ცენტრები აღარ გაუქმდება

ოზურგეთსა და ფოთში საგამოცდო ცენტრების ფუნქციონირება გაგრძელდება. განათლებისა და მეცნიერების მინისტრ მიხეილ ჩხენკელის დავალებით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი ამ საკითხზე რეგიონებში აბიტურიენტებსა და მათ მშობლებს ესაუბრა.

კონსულტაციის შედეგად გადაწყდა, რომ ოზურგეთსა და ფოთში საგამოცდო ცენტრები არ დაიხურება და ადგილობრივები გამოცდების ამ ქალაქებში ჩაბარებას შეძლებენ.

რაც შეეხება ხულოს საგამოცდო ცენტრს, მაია მიმინოშვილის განმარტებით, ხულოში, საგამოცდო ცენტრი ტექნიკური მიზეზის გამო, 2018 წელს ვერ გაიხსნება. სკოლას, რომელსაც საგამოცდო ცენტრად იყენებდნენ, სარეაბილიტაციო სამუშაოები უტარდება.

განათლების სამინისტრომ საგამოცდო ცენტრების გაუქმებასთან დაკავშირებით ინფორმაცია რამდენიმე დღის წინ გაავრცელა. გადაწყვეტილების თანახმად, აბიტურიენტებს გამოცდების ჩასაბარებლად სხვა ქალაქებში მოუწევდათ ჩასვლა. განათლების სამინისტროს ამ გადაწყვეტილებას ფოთელი და ოზურგეთელი აბიტურიენტების პროტესტი მოჰყვა.

საგამოცდო ცენტრების სრული სია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე 5 მარტს გამოქვეყნდება.

რეგინფო

ნუგზარ თინიკაშვილი: „ოკუპირებულ ახალგორში შესვლა-გამოსვლაზე კონტროლი გამკაცრებულია“

ოკუპირებული ახალგორის ტერიტორიაზე შესვლა-გამოსვლა ჩვეულებრივ რეჟიმში ხდება, თუმცა, ჩემი ინფორმაციით, კონტროლი გამკაცრებულია, – განაცხადა ახალგორის გამგებელმა ნუგზარ თინიკაშვილმა.

მისი თქმით, ავტომობილებისა და მოქალაქეების შემოწმება-კონტროლი უფრო მკაცრად ხდება.

– შესვლა-გამოსვლა ოკუპირებული ახალგორის ტერიტორიაზე ხდება ჩვეულებრივ რეჟიმში. თუმცა კონტროლი გამკაცრებულია, როგორც მე მითხრეს. გუშინ შემოსული იყო „ომონის“ ნაწილები ცხინვალიდან. უფრო მკაცრად ხდებოდა მანქანების და პიროვნებების შემოწმება გაკონტროლება, – განაცხადა თინიკაშვილმა.

ამასთან, ახალგორის გამგებლის ინფორმაციით, არჩილ ტატუნაშვილთან ერთად დაკავებული ლევან ქუტაშვილი და იოსებ პავლიაშვილი ახალგორში, თავიანთ სახლებში, ოჯახთან ერთად იმყოფებიან, თუმცა, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლის საშუალება არ ეძლევათ.

– ისინი თავიანთ სახლებში იმყოფებიან მშობლებთან და ოჯახის წევრებთან ერთად. მათ არ აქვთ კონტაქტზე გამოსვლის და ოკუპირებული ახალგორის დატოვების უფლება. მეთვალყურეები ჰყავთ მიჩენილი და როგორც ოკუპირებულ ცხინვალში ამბობენ, მიმდინარეობს გამოძიება და ალბათ, ამ ე.წ გამოძიების დასრულების შემდეგ გათავისუფლდებიან. თუმცა კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, რომ სამივენი არიან უდანაშაულო ადამიანები. სამწუხაროდ, ერთი იმსხვერპლეს, მაგრამ ამ ადამიანებს არანაირი დანაშაული არ მიუძღვით. ამდენად, ჩემი აზრით, როგორც კი მოხდება ცხედრის გადმოცემა და დაკრძალვა, ამ პირებსაც გაათავისუფლებენ, – ამბობს თინიკაშვილი.

მედიანიუსი

მთავარმა პროკურორმა ერთ წელიწადში 70.440 ლარის ოდენობით პრემია-დანამატები მიიღო

საქართველოს მთავარმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ 2017 წლის განმავლობაში ხელფასის სრული ოდენობით პრემია და დანამატი 18-ჯერ აიღო, რომელიც, საერთო ჯამში, 70.440 ლარს შეადგენს.

მთავარი პროკურორის თანამდებობრივი სარგო 2018 წლის 1 იანვრამდე თვეში 3.910 ლარი იყო, ანუ წელიწადში 46.920 ლარი. ბოლო ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, ირაკლი შოთაძემ 2017 წელს სარგოსთან ერთად 18-ჯერ მიიღო დანამატი და პრემია. სულ მისი წლიური ანაზღაურება 117.360 ლარი იყო, საიდანაც 70.440 ლარი პრემია-დამანატების თანხაა.

ხელფასის ეს ოდენობა ირაკლი შოთაძის მიერ მთავარი პროკურორის თანამდებობაზე მიღებული ყველაზე მაღალი თანხაა. აღსანიშნავია, რომ 2011 წელს ზუსტად იმავე ოდენობით ხელფასი – 117.360 ლარი – მიიღო მაშინდელმა მთავარმა პროკურორმა მურთაზ ზოდელავამ.

„რეგინფო“ წერდა, რომ 2018 წლის 1 იანვრიდან მთავარი პროკურორის სარგოს ოდენობა თვეში 6.600 ლარი გახდა. კანონის თანახმად, პროკურორების და პროკურატურის გამომძიებლების ანაზღაურება, თანამდებობრივ სარგოსთან ერთად, ფულად ჯილდოს (პრემიას) და სხვადასხვა სახის დანამატსაც მოიცავს. ამასთან, მათზე არ ვრცელდება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონით დაწესებული შეზღუდვები დანამატებისა და ფულადი ჯილდოს (პრემიის) გაცემის საკითხებში.

რეგინფო

გეოპოლიტიკური ცვლილებები სამხრეთ კავკასიაში

მარიამ მჭედლიშვილი

ბოლო დროს სამხრეთ კავკასიის რეგიონს ექსპერტები მოიხსენიებენ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მწვავე მოვლენების ჭრილში და ამბობენ, რომ რეგიონში დაწყებული გადანაწილება კავკასიასაც შეეხება.

სომხეთსა და აზერბაიჯანში შექმნილი სიტუაცია აჩვენებს, რომ სამხრეთ კავკასიაში ცვლილებები დაწყებულია.

სომხეთში განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად ქვეყანაში ყალიბდება საპარლამენტო მმართველობა. ეს ისეთივე მოდელია, რომელიც საქართველოში მკვიდრდება.

საქართველოში 2018 წელს პრეზიდენტს ისევ ხალხი აირჩევს. სომხეთმა პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევნები უკვე გამართა. ამ დღეებში სპეციალურმა ორგანომ პარლამენტის წევრებისა და თვითმმართველობების წარმომადგენლების შემადგენლობით აირჩია ახალი პრეზიდენტი არმენ სარგსიანი.

იგი მოვალეობის შესრულებას შეუდგება 9 აპრილს, ანუ მას შემდეგ, რაც უფლებამოსილების ვადა ამოეწურება ახლანდელ პრეზიდენტს, მის მოგვარე სერჟ სარგსიანს. პრემიერ-მინისტრს საპარლამენტო უმრავლესობის წარდგინებით დანიშნავს პრეზიდენტი.

არსებული ინფორმაციით, მომავალი პრემიერი, ანუ ქვეყნის პირველი პირი, სერჟ სარგსიანი იქნება.

მალე საპრეზიდენტო არჩევნები აზერბაიჯანშიც ჩატარდება. აზერბაიჯანში პრეზიდენტობას ისევ ილჰამ ალიევი გააგრძელებს, ვიცეპრეზიდენტად კი საზოგადოებას ისევ მისი მეუღლე მოევლინება.



აზერბაიჯანმა ანტირუსულ ფორუმში მონაწილეობაზე უარი თქვა

სომხეთი ევროპული სახელმწიფო ხდება?

სომეხი და რუსი ექსპერტები მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამო და საომარი საფრთხის გათვალისწინებით სისუსტის გამოვლინებად მიიჩნევენ სომხეთის საპარლამენტო მოდელზე გადასვლას.

არის სხვა მოსაზრებაც. ის ემყარება ახალ გეოპოლიტიკურ რეალობას. ამიერიდან დასავლეთში კონფლიქტის გამო სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირებას ახლებურად დაინახავენ. მათ თვალში ეს იქნება დემოკრატიული, ევროპულ გზაზე მდგარი სომხეთისა და ავტორიტარული აზერბაიჯანის კონფლიქტი.

„დემოკრატიის ინდექსი 2017“-ის თანახმად, სომხეთი 111-ე ადგილზეა, აზერბაიჯანი – 154-ეზე. საპრეზიდენტო უფლებების გაზრდით ბაქო დემოკრატიულობის ხარისხს იუარესებს. ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობა შემოიღო ასევე სეპარატისტულმა მთიანმა ყარაბაღმა, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა აქვს ოკუპირებულ აფხაზეთთან და ხშირად უზიარებს „აფხაზ ძმებს“ თავის გამოცდილებას.

„ახალი თაობა“ წერდა, რომ სომხეთმა ევროკავშირთან გააფორმა შეთანხმება. ეს დოკუმენტი ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთ ვარიანტად მიიჩნევა. მაშინ ითქვა, რომ გააქტიურდებოდა საქართველო-სომხეთის ეკონომიკური თანამშრომლობა.

ამ დღეებში საქართველოსა და სომხეთის პრემიერებმა გიორგი კვირიკაშვილმა და კარენ კარაპეტიანმა სწორედ ორ ქვეყანას შორის საავჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაზე ისაუბრეს.

ამ დროისათვის რუსეთის მოკავშირე სომხეთი უფრო მეტად დაუახლოვდა ევროპას, ვიდრე საქართველოსა და თურქეთის პარტნიორი აზერბაიჯანი. ევროკავშირი შეთანხმების გაფორმებას ბაქოსაც სთავაზობს. აზერბაიჯანის მთავარი პრობლემა ყარაბაღია. ახლახან ილჰამ ალიევმა ევროკავშირის მაღალჩინოსნებს წაუყენა პრეტენზია იმის თაობაზე, რომ ევროკავშირის წარმომადგენლები ჩადიან მთიან ყარაბაღში და იქ უკანონო საქმიანობას ეწევიან.

ამ დღეებში ერთი საყურადღებო ფაქტიც მოხდა – კიშინიოვში ბაქოს გადაწყვეტილების შედეგად ჩაიშალა სუამის ანტირუსული კონფერენცია. მასში საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის დელეგაციების გარდა, მონაწილეობდნენ ანტლანტიკური საბჭოს წევრები. აზერბაიჯანი ანტირუსულ ღონისძიებას არ მიუერთდა. კონფერენციას ტექნიკური პრობლემებიც შეექმნა და ის ვერ გაიმართა.

მარტის ბოლოს ბაქოს ირანის პრეზიდენტი ეწვევა. ექსპერტებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ ახალი გეოპოლიტიკური გადაჯგუფებები ირანსა და აზერბაიჯანს ერთმანეთთან უფრო მეტად დააახლოებს.

პრემიერი: „გვაქვს ინფორმაცია, რომ ტატუნაშვილის ცხედარს უახლოეს დროში გადმოგვცემენ“

პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, უკანასკნელ საათებში მიღებული ინფორმაციით, საფუძველი აქვთ თქვან, რომ ძალისხმევას შედეგი მოჰყვება და უახლოეს დროში მიწას მიაბარებენ არჩილ ტატუნაშვილის ცხედარს.

ამავე განცხადებაში მან აღნიშნა, რომ ცხედრის ოჯახში გადმოსასვენებლად ხელისუფლება ყველა ღონეს იყენებს და მათ შორის „ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია ჩვენი ეკლესიისა და პატრიარქის როლი“.

– ახლა არის დრო, როცა უნდა გავმაგრდეთ, მამაცი ვაჟკაცი სათანადოდ გამოვიგლოვოთ და მიწას მივაბაროთ. ამის შემდეგ, ისევ მოვიკრიბოთ ძალა და შეუქცევადად გავაგრძელოთ ჩვენი ქვეყნის აგურ-აგურ მშენებლობის პროცესი და, რაოდენ რთულიც არ უნდა იყოს დღეს ამის თქმა, ოსებისა და აფხაზების შემორიგების პროცესი – კიდევ უფრო მეტი შემართებითა და გულმოდგინებით.

მე დარწმუნებული ვარ, რომ მავთულხლართების იქითა მხარესაც არიან ადამიანები, ვისთვისაც სულერთი არ არის თუნდაც ერთობლივი ცხოვრების ის ისტორია, რომელიც საუკუნეებს ითვლის.

ასევე მწამს, რომ ყველა მხარეს არსებობს რაციონალური ძალა, რომელსაც სჯერა მშვიდობისა და თანამშრომლობის.

ჩვენ წინ გვაქვს გასავლელი ურთულესი გზა, რომელიც ერთად უნდა გავიაროთ; მაგრამ ამას ვერ გავაკეთებთ, თუ კიდევ ერთხელ, ჩვენს, თუნდაც სამართლიან ემოციებს და აგრესიას მივცემთ საშუალებას, საბოლოოდ ან დიდი ხნით გადავავადოთ ერის გამთლიანების პროცესი.

უკანასკნელი დღეების და საათების განმავლობაში მიღებული ინფორმაციით, გვაქვს საფუძველი განვაცხადოთ, რომ ჩვენს ძალისხმევას შედეგი მოჰყვება და უახლოეს დროში ერთად მივაბარებთ მიწას ჩვენს თანამემამულეს, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

ნეტგაზეთი

საქართველოს საპატრიარქო: „პატრიარქი კირილე ტატუნაშვილის ცხედრის გადმოცემის საკითხში ჩაერთო“

საქართველოს საპატრიარქო აცხადებს, რომ ილია II-ის მიმართვის შემდეგ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქი არჩილ ტატუნაშვილის ცხედრის საქართველოსთვის გადმოცემის საკითხში ჩაერთო.

– დაგვიკავშირდნენ რუსეთის საპატრიარქოდან და გვაცნობეს, რომ მიიღეს არჩილ ტატუნაშვილის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წერილი, რომელიც გადაუგზავნეს ბულგარეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფ რუსეთის პატრიარქს.

მისმა უწმინდესობა კირილემ განაცხადა, რომ, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის თხოვნით უკვე ჩაერთო არჩილის ცხედრის ოჯახისთვის გადმოცემის საკითხში და ყოველმხრივ ეცდება, ეს მაქსიმალურად მოკლე დროში განხორციელდეს.

ამ დროისთვის მოპოვებული ინფორმაციით, ცხედარი ექსპერტიზაზეა და მას საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაცია წითელი ჯვარი ჩამოასვენებს, – ვკითხულობთ საქართველოს საპატრიარქოს განცხადებაში.

საქართველოს მოქალაქეები, არჩილ ტატუნაშვილი, ლევან ქუტაშვილი და იოსებ პავლიაშვილი სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის წარმომადგენლებმა 2018 წლის 22 თებერვალს დააკავეს. ოსური მხარის ცნობით, არჩილ ტატუნაშვილმა წინააღმდეგობა გაუწია სამართალდამცავებს, რის გამოც მის წინააღმდეგ გამოიყენეს

ძალა, იგი „კიბის საფეხურზე დაეცა, რის შედეგადაც მიიღო ტრავმები. ამის გამო საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ორი საათის შემდეგ გულის უკმარისობით გარდაიცვალა“.

იმის მიუხედავად, რომ ქართული მხარე არჩილ ტატუნაშვილის ცხედრის ქართული მხარისთვის გადმოცემას 26 თებერვალს ელოდა, როგორც ქართულ და ოსურ მხარეებს შორის გამართულ შეხვედრაზე გახდა ცნობილი, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ცხედრის გადმოცემას ჯერ არ აპირებს.

სუს-ის წარმომადგენელ კახაბერ ქემოკლიძის განცხადებით, ლეგიტიმურია შეკითხვები იმის თაობაზე, რომ ოსური მხარე ცხედარზე ძალადობის კვალის დაფარვის მიზნით აჭიანურებდეს ცხედრის გადმოცემას.

ნეტგაზეთი

2018 წლის 2 თვეში ვიზიტორთა რაოდენობა 48%-ით გაიზარდა

2018 წლის 2 თვის მონაცემებით, საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 48%-ით გაიზარდა და 31.892 შეადგინა. ვიზიტორთა შორის 59% ქართველია, ხოლო 41% – უცხოელი.

საერთაშორისო მოგზაურებიდან დაცულ ტერიტორიებს ყველაზე მეტი ვიზიტორი გერმანიიდან, გაერთიანებული საემიროებიდან, ინდოეთიდან, აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან ესტუმრა.

2018 წლის 2 თვის მონაცემებით, ტოპ 5 ყველაზე მონახულებადი დაცული ტერიტორია ასე გამოიყურება: თბილისის ეროვნული პარკი, ყაზბეგის ეროვნულ პარკი, პრომეთეს მღვიმე, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები.

სტატისტიკური მონაცემებით, 2017 წელს დაცულ ტერიტორიებს 954.397 ვიზიტორი ეწვია, რაც 2016 წელთან შედარებით 30%-ით მეტია. 2017 წელს ვიზიტორთა 57% ქართველი იყო, 43% კი – უცხოელი.

გასულ წელს ყველაზე მეტი ვიზიტორი ეწვია პრომეთეს მღვიმეს – 163. 941; მარტვილის კანიონს – 147.374; ყაზბეგის ეროვნულ პარკს – 154.085; სათაფლიას – 85.526; ოკაცეს კანიონს – 73.113.

2017 წელს ვიზიტორების რაოდენობა ყველაზე მეტად გაიზარდა შემდეგ დაცულ ტერიტორიებზე: მაჭახელას ეროვნული პარკი – ზრდა 147%; მარტვილის კანიონი – ზრდა 136%; ალგეთის ეროვნული პარკი – ზრდა 74%; თბილისის ეროვნული პარკი – ზრდა 47%; მტირალას ეროვნული პარკი – ზრდა – 41%; ოკაცეს კანიონი – ზრდა – 40%; პრომეთეს მღვიმე – ზრდა – 19%.

რეგინფო

თალაკვაძე: „პრეზიდენტობის ქალ და კაც კანდიდატებს თანაბარი შესაძლებლობები ექნებათ“

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე ამბობს, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ კანდიდატის შესახებ კონსულტაციები მომდინარეობს.

ნეტგაზეთმა თალაკვაძეს დაუსვა შეკითხვა, მართალია თუ არა ინფორმაცია, რომ ხელისუფლების კანდიდატი თეა წულუკიანი იქნება.

– წინასწარი კონსულტაციები დაწყებულია, თუმცა, პოლიტსაბჭოს ფორმატში ჯერ არ ყოფილა შესაძლო კანდიდატების განხილვა. რაც შეეხება კრიტერიუმებს, რომლითაც შევარჩევთ კანდიდატს, მაღალი ალბათობით, ეს იქნება გამოცდილება, საზოგადოების ნდობა და საქართველოს მომავალი განვითარების ხედვა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მომავალმა პრეზიდენტმა შეძლოს საქართველოს ინტერესების წარმოდგენა საერთაშორისო ასპარეზზე.

კონკრეტული კანდიდატების დასახელებისგან ამ მომენტში ნამდვილად თავს შევიკავებ, მაგრ კანდიდატების განხილვა უნდა მოხდეს პოლიტსაბჭოს ფორმატში და შემდგომში უკვე შეგვიძ-

ლია, კონკრეტულ სახელებსა და გვარებზე ვილაპარაკოთ. რა თქმა უნდა, როგორც ქალ, ასევე კაც კანდიდატებს არჩევნებში თანაბარი შანსები და შესაძლებლობები აქვთ. თუმცა, ეს არ იქნება განმსაზღვრელი ფაქტორი კანდიდატის დასახელებისას, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ კანონპროექტით 15 წელიწადში 3 მილიარდ ლარზე მეტი დაიზოგება“

გავთავისუფლდეთ თამბაქოს კვამლისგან, – ასე ჰქვია თამბაქოს კანონმდებლობის დანერგვის საკომუნიკაციო კამპანიას, რომელიც ოფიციალურად გაიხსნა. ამ თემაზე რადიო კომერსანტის გადაცემაში „კომერსანტის თემა“ სალომე სოსელიასთან ერთად ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი ზოიძემ ისაუბრა. მისი თქმით, თანამოქალაქეების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის გადასარჩენად ადამიანებს გარეთ მოწევა უნდა ვთხოვოთ. ზოიძე მოქალაქეებს მოუწოდებს, რომ არ იყვნენ პასიურები კანონის აღსრულებაში.

– პასიური მოწევის შედეგად საქართველოში ყოველწლიურად 2.100 ადამიანი კვდება მინიმუმ 10 წლით ადრე. ეს ის ადამიანები არიან, რომლებსაც შეგნებული გადაწყვეტილება ჰქონდათ მიღებული, არ მოეწიათ ან დაანებეს თავი მოწევას. ეს კამპანია მიზნად ისახავს, მივიტანოთ მოქალაქეებამდე, რას კრძალავს კანონი. კამპანია არ არის მწეველების წინააღმდეგ. ეს არის ჩვენი თანამოქალაქეების სიცოცხლის გადასარჩენად.

გაეროს განვითარების ფონდისა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გათვლებით, შემდეგი 15 წლის განმავლობაში საქართველოში 53 ათასზე მეტი ადამიანი გადარჩება ნაადრევი და მტანჯველი სიკვდილისგან, – განაცხადა აკაკი ზოიძემ.

თამბაქოს ეპიდემიის მხრივ საქართველო არის მსოფლიოში მეთორმეტე, ხოლო ევროპაში მეორე პოზიციაზე. აკაკი ზოიძე ამბობს, რომ მონაცემები საგანგაშოა. მისი თქმით, მოსახლეობას სრულად არ აქვს წარმოდგენილი, რამდენად მავნეა თამბაქო ჯანმრთელობისთვის.

– მოსახლეობის 33% არის მწეველი, მათ შორის მამაკაცების 60%-მდე. 2/3 იმყოფება თამბაქოს კვამლის მოქმედების ქვეშ. 1/3 არის აქტიური მწეველი, კიდევ ერთი მესამედი პასიური მწეველია. სწორედ რესტორნებში, ბარებში, საჯარო სივრცეებსა და ოფისებში იწამლებიან ადამიანები. ჩვენ ამ რეგულაციებით შევძლებთ, შევამციროთ მწეველთა რიცხვი საქართველოში, – აცხადებს ზოიძე.

მანვე „კომერსანტთან“ აღსრულების მექანიზმებზე ისაუბრა. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ამბობს, რომ აღსრულებაზე პასუხისმგებლები თვითონ დაწესებულებების ხელმძღვანელები არიან. იგი ასევე აღნიშნავს, რომ ამ კანონპროექტით შემდეგი 15 წლის განმავლობაში 3 მილიარდ ლარზე მეტი დაიზოგება.

– ეს რეალური ციფრებია. 2014 წელს ჩვენი ჯიბიდან თამბაქოს პროდუქციამ ამოიღო მილიარდ ასი მილიონი ლარი. ამ თანხიდან 750 მილიონი ლარი წავიდა ბიზნესში, დაახლოებით 390 მილიონ ლარზე მეტი წავიდა ბიუჯეტში, მაშინ როდესაც დანახარჯი თამბაქოს გამომწვევ დაავადებებზე მკურნალობისთვის ყოველწლიურს ორჯერ აჭარბებს. ამის გარდა, ეს თანხა გაედინება საქართველოს გარეთ, რომელიც ტვირთად აწვება ლარის კურსს, – აცხადებს აკაკი ზოიძე.

რამდენად შესაძლებელია კანონპროექტის მიზნის მიღწევა, რომ ყოველწლიურად მწეველების რაოდენობა 1 პროცენტით შემცირდეს? „კომერსანტის“ ეთერში ამ თემაზე თამბაქოს კონტროლის ალიანსის ხელმძღვანელმა გიორგი ბახტურიძემ ისაუბრა. მისი თქმით, ეს საკმაოდ რეალისტური მოლოდინია.

– ძალიან დიდი ძალისხმევაა საჭირო იმისთვის, რომ ყოველწლიურად ერთპროცენტიანი კლება გვქონდეს მწეველებს შორის. კანონი, რომელიც მალე შევა ძალაში, ჯერ კიდევ არ არის სრულფასოვანი და კიდევ არის დაშვებული ადგილები, სადაც მოწევა შესაძლებელია, – განაცხადა ბახტურიძემ.

მანვე ყურადღება კანონის აღსრულების მექანიზმზე გაამახვილა. მისი თქმით, ადმინისტრირება გამარტივდა, რაც ნიშნავს, რომ 2000 ლარამდე ჯარიმა აღარ არის სასამართლო ქვემდებარე და პოლიციელს ან სხვა აღმასრულებელს უფლება ექნება, ადგილზევე შეუფარდოს სასჯელი, როგორც ეს საგზაო წესების დარღვევისას ხდება.

– ფიზიკური პირებისთვის საჯარიმო სანქცია 50 ლარიდან იწყება, იურიდიული პირებისთვის – 500 ლარიდან. განმეორების შემთხვევაში 1.000 ლარია და, თუ სისტემური ხასიათი ექნა, ჯარიმა 2000 ლარამდე ადის. აღსრულების მომენტში ძირითადი პასუხისმგებლობა ადმინისტრაციას ეკისრება, იქიდან გამომდინარე, რომ ისინი ფლობენ ამ ტერიტორიას, ვალდებულები არიან, დაიცვან თამბაქოს კონტროლის წესები. თუ დაუმორჩილებლობას ექნება ადგილი, ამ შემთხვევაში აქვთ ვალდებულება, გამოიძახონ პატრული, – აცხადებს გიორგი ბახტურიძე.

კომერსანტი

„ეროვნული ბანკის ლიცენზირების ნაწილში ჩარევა გამართლებული იქნებოდა“

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობის რეგულირების სრულყოფისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით ახალი რეგულაციები აამოქმედა, რომლის მიხედვითაც ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს პირველი მარტიდან ვალდებულება აქვთ, ვალუტის გადაცვლის ოპერაციიდან 30 წუთის განმავლობაში მომხმარებლის მოთხოვნითა და ვალუტის გადაცლის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენით გააუქმოს ეს ოპერაცია. გარდა ამისა, ცვლილებები ითვალისწინებს იმას, რომ სარეგისტრაციო მოთხოვნები – კრიტერიუმები სავალუტო ჯიხურების მიმართ გამკაცრდება. ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს საქმიანობის ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად ვადა 2019 წლის იანვრამდე მიეცემათ.

ამ საკითხზე რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „კომერსანტის თემა სალომე სოსელიასთან ერთად“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე ოთარ ანგურიძემ ისაუბრა.

– კარგი იქნებოდა, ეროვნულ ბანკს განემარტა, რა მოტივით მიიღო ეს გადაწყვეტილება. რატომ არ შეიძლება, იგივე განხორციელდეს სხვა ინსტიტუციების მიმართ, რომლებიც ასევე ახორციელებენ ვალუტით ვაჭრობის ოპერაციას.

ჩემი აზრით, უფრო გამართლებული იქნებოდა თუ ეროვნული ბანკი ჩაერევა ლიცენზირების ნაწილში. როდესაც ბიზნესი არ არის კონტროლირებადი და არის დიდი რაოდენობით გახსნილი ქალაქის მასშტაბით, ეს აჩენს კითხვებს. აქ აუცილებელია ჩარევა, მაგრამ ეს ჩარევა უნდა იყოს კონკურენციის პრინციპის ფარგლებში, – განაცხადა ანგურიძემ.

მისივე თქმით, ცვლილება მოსახლეობაში გაუგებრობას გამოიწვევს, რადგან ლარის კურსი სტაბილური არ არის და ხშირად მერყეობს.

– დიდი ალბათობით, ეს ცვლილება მოსახლეობაში გაუგებრობას გამოიწვევს, გამომდინარე იქიდან, რომ დღეს ლარის კურსი არის დაუცველი და ხშირად ნახტომები ფიქსირდება. არამარტო ეროვნული ბანკის ყოველთვიურ ანგარიშებში, ზოგადად ბლუმბერგის სისტემაში რომ შევიდეთ, ყოველწუთიერად იდება გარიგებები და ხდება დიდი ნახტომები. შესაბამისად, სავალუტო ჯიხურები კურსს განსაზღვრავენ არა ეროვნული ბანკის კურსის მიხედვით, არამედ ბლუმბერგის სისტემის მიხედვით. როდესაც ის გარკვეულ პერიოდში დააფიქსირებს კურსს და მოახდენს ვალუტით ვაჭრობას, თუნდაც 15 წუთის შემდეგ შეიძლება დაფიქსირდეს ვალუტის სხვა კურსი, ჯიხური კი იძულებული იქნება, შეცვალოს კურსი, რაც მომხმარებლში გაუგებრობას გამოიწვევს, – აცხადებს ანგურიძე.

ზურაბ გუმბერიძე: „სატელევიზიო სარეკლამო ბაზარი რეალურად 11%-ით არის შემცირებული“

სარეკლამო გაყიდვების სახლ „ინტერ მედიის“ აღმასრულებელ დირექტორ ზურაბ გუმბერიძის განცხადებით, სატელევიზიო სარეკლამო ბაზარი რეალურად 11%-ით არის შემცირებული და კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ წარმოდგენილი ციფრები არაზუსტია.

როგორც გუმბერიძემ 2016-2017 წლების სატელევიზიო სარეკლამო შემოსავლების საკითხის კომენტირებისას განაცხადა, კომისიის დათვლის მეთოდოლოგიაში მთავარი უზუსტობა იმაში მდგომარეობს, რომ დათვლილია სარეკლამო დამკვეთების მიერ 2017 წელს გაწეული დანახარჯები და ეს შედარებულია 2016 წელს ტელევიზიების შემოსავლებთან. ამ დროს, გუმბერიძის თქმით, სარეკლამო დამკვეთების მიერ გაწეული ხარჯების ნაწილი წავიდა არა ტელევიზიებში, არამედ დიჯიტალ-მედიაში.

– მეთოდოლოგიური უზუსტობა იყო ის, რომ ერთი მხრივ, მარეგულირებელმა დათვალა დამკვეთის მიერ დახარჯული სარეკლამო დანახარჯების ოდენობა და მეორე მხრივ, დათვალა ტელევიზიებში წინა წელს შესული ფული, რაც არის ნათელი შეცდომა. რეალურად, მხოლოდ სატელევიზიო სარეკლამო ბაზარი არის შემცირებული 11%-ით. ეს შემცირება განპირობებულია, პირველ რიგში, დიჯიტალ-მედიაში თანხების გადინებით, რაც არის გლობალური ტრენდი და აბსოლუტურად ლოგიკური, – განაცხადა სარეკლამო გაყიდვების სახლ „ინტერ მედიის“ აღმასრულებელმა დირექტორმა.

ბილ გეითსი მსოფლიოს ფინანსური კრიზისის გამეორებას არ გამორიცხავს

„მე ვარ ბილ გეითსი – საქველმოქმედო ფონდ ბილა და მედინა გეითსების თანათავმჯდომარე. მკითხეთ, რაც გსურთ“, – განაცხადა Microsoft-ის დამფუძნებელმა ტრანსპორტიზაციის საკითხებზე გამართულ შეხვედრაზე.

„ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ ბილ გეითსის მისამართით დასმულ შეკითხვებზე მილიარდერის პოზიციას.

მომავლის ტექნოლოგიაზე

– ყველაზე უცნაური იქნება ის, რომ კომპიუტერმა ისწავლოს კითხვა და ტექსტის ისე აღქმა, როგორც ადამიანმა. დღეს მათ შეუძლიათ პრიმიტიული რაღაცის კეთება, მაგალითად, ძებნა კონკრეტული სიტყვის მიხედვით და ა.შ. კიდევ ერთი ნაბიჯია რობოტი, რომელიც იმეორებს ადამიანის მოძრაობებსა და ქცევებს. თუმცა ექსპერტები ვერ თანხმდებიან, ეს გარღვევა როდის მოხდება – 10 წლის განმავლობაში თუ ამას უფრო მეტი დრო დასჭირდება.

კრიპტოვალუტაზე

– კრიპტოვალუტის მთავარი ფუნქცია არის მისი ანონიმურობა. მე არ ვფიქრობ, რომ ეს კარგია. ხელისუფლებებს არ შეუძლიათ იმის გაგება, ხდება თუ არა ფულის გათეთრება ან გადასახადებისთვის თავის არიდება და ა.შ. დღეს უკვე კრიპტოვალუტით ნარკოტიკების შეძენაა შესაძლებელი. ეს არის იშვიათი ტექნოლოგია, რომელიც სასიკვდილო შედეგებს იწვევს. მე ვფიქრობ, რომ ICO-ს სპეკულაცია ძალიან სარისკოა მათთვის, ვისაც ხანგრძლივი ინვესტიცია სურს.

ელონ მასკის Hyperloop-ზე

– არ ვიცი, რამდენად რეალურია Hyperloop-ის კონცეფცია. ძალიან რთულია, Hyperloop-ი უსაფრთხო გახდეს. Hyperloop სპეციალურ მილებში მოთავსებული ერთგვარი კაფსულაა, რომელიც, კონცეფციის თანახმად, 900კმ/სთ-ზე მეტით გადაადგილდება. მნიშვნელოვანია, რომ იგი მზის ენერგიაზე მუშაობს და ამინდის ცვალებადობას ან თუნდაც მიწისძვრას მის ეფექტურობაზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია.

შესაძლო ფინანსურ კრიზისზე

შეხვედრაზე დაინტერესდნენ გეითსის აზრით იმასთან დაკავშირებით, განმეორდება თუ არა სამომავლოდ ფინანსური კრიზისი, რომელიც 2008 წელს მოხდა.

– დიახ, მაგრამ, რთული სათქმელია, როდის. საბედნიეროდ, წინა კრიზისს თავი კარგად გავართვით. უორენმა (ბაფეტი) ამაზე კარგად ისაუბრა. ის ფინანსური კრიზისი საკითხში ჩემზე უკეთესად ერკვევა.

გმო პროდუქტებზე

– გენმოდიფიცირებული საკვები აბსოლუტურად ნორმალურია. ეს ტექნოლოგია ხელს შეუწყობს შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლას, თუ ხალხი სწორად მიიღებს მას. მე არ უგულებელვყოფ იმ პროდუქტებს, რომლებიც გმო-ს არ შეიცავს, მაგრამ ჩემთვის ცოტა სამწუხაროა, როცა ადამიანები ასეთ პროდუქტს უფრო ჯანსაღად მიიჩნევენ.

გართობაზე

– გრაფიკი ყოველთვის მკაცრი იყო. ჩოგბურთი ჩემი მთავარი ჰობია. ვცდილობ, კვირაში ორჯერ ვითამაშო (ზაფხულში ცოტა უფრო ხშირად), რამდენიმე ახალი წიგნის წავიკითხო ყოველ თვეში და ბევრად უფრო მეტი, თუ შვებულებაში ვარ. ამასთან, ფონდისთვის ბევრს ვმოგზაურობ.

ხელისუფლების „პიარისათვის“ საბიუჯეტო დანახარჯები გაზრდილია

„ხელისუფლების „პიარისათვის“ საბიუჯეტო დანახარჯები გაზრდილია“.

ამის შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევაშია ნათქვამი.

– ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად აცხადებენ, რომ მათი საქმიანობისა თუ მიღწევების შესახებ მოსახლეობა სათანადოდ არ არის ინფორმირებული. მთავარ მიზეზად კი არასათანადო „პიარი“ სახელდება. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ დაინტერესდა, თუ რა თანხას ხარჯავდა ხელისუფლება 2012-2017 წლებში ადმინისტრაციულ ორგანოებში არსებულ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებზე, რომელთა მთავარ ფუნქციას სწორედ ხელისუფლების საქმიანობის შესახებ საქართველოს მოსახლეობის ინფორმირება და მასმედიასთან ურთიერთობა წარმოადგენს, – ნათქვამია კვლევაში.

აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის გამოთხოვა 133 საჯარო უწყებიდან მოხდა, თუმცა, ორგანიზაციის ცნობით, 12-მა უწყებამ, მათ შორის საქართველოს

მთავრობის ადმინისტრაციამ, შემოსავლების სამსახურმა და იუსტიციის სახლმა ინფორმაცია არ მიაწოდეს. შესაბამისად, კვლევა 121 საჯარო უწყებიდან გამოგზავნილ ინფორმაციას ეყრდნობა.

როგორც კვლევაშია აღნიშნული, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, საჯარო უწყებების პრესსამსახურებში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა და მათი ანაზღაურების ოდენობა მკვეთრად გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ 2017 წლის მონაცემები მხოლოდ ოქტომბრის ჩათვლით არის დათვლილი, პრესსამსახურის თანამშრომლების ანაზღაურება 2012 წლის ჯამურ დანახარჯს მაინც ბევრად აჭარბებს.

კერძოდ, როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევაშია აღნიშნული, 2017 წელს საჯარო უწყებებში პრესსამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა – 643 ადამიანი, მათი ანაზღაურება კი 9.270.513 ლარი იყო. მაშინ როცა 2012 წლის მონაცემებით, პრესსამსახურების თანამშრომელთა რაოდენობა – 423-ს, ხოლო მათი ანაზღაურება 6.384.356 ლარს შეადგენდა.

– ჯამში, საკვლევი პერიოდის განმავლობაში 2012-დან 2017 წლის ოქტომბრის ჩათვლით, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში დასაქმებულთა ანაზღაურებამ 55 მილიონ 400 ათას ლარზე მეტი შეადგინა, საიდანაც 49 მილიონ 75 ათას ლარზე მეტი 2013-2017 წლებში, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაიხარჯა, – ვკითხულობთ კვლევაში.

ავარია თბილისში — დაშავებულია ორი ადამიანი

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე. თვითმხილველთა თქმით, ორი ავტომობილის შეჯახების შედეგად ორი ადამიანი მსუბუქად დაშავდა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

რუსთავში ავარიის შედეგად ერთი ადამიანი დაშავდა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა რუსთავში. „ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, თოდრიას ქუჩის 1 ჩიხთან ერთმანეთს მერსედესისა და ვაზ 21-06 მარკის ავტომობილები შეეჯახნენ.

ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო დახმარებისა და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 06-ის მარკის ავტომობილის მძღოლი დაშავდა.

ჩოხატაურში ორსართულიანი სახლი დაიწვა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოულში ხანძრის შედეგად საცხოვრებელი სახლი დაიწვა.

როგორც ჩოხატაურის მერმა ირაკლი კუჭავამ გვითხრა, ორსართულიან სახლში გაჩენილი ცეცხლი მეზობლებმა დაინახეს და სახანძროში დარეკეს, თუმცა სახლის გადარჩენა ვერ მოხერხდა. მსხვერპლი არ არის:

– ერთი ადამიანი ცხოვრობს სახლში. მეზობლებმა შეამჩნიეს დაკვამლიანება. მეორე სართული ხისაა და უცებ მოედო მთელს სახლს ცეცხლი. დარეკეს სახანძროში, თუმცა, სახლის გადარჩენა ვერ მოხერხდა, დაგვიანებული ზარის გამო, – გვითხრა კუჭავამ.

ჩოხატაურის ცენტრში კაცის ცხედარი იპოვეს

ჩოხატაურში, ერთ-ერთი ღელეს ნაპირზე, 55 წლამდე მამაკაცის ცხედარი იპოვეს.

მამაკაცის მეზობლების თქმით, გარდაცვლილი მარტო ცხოვრობდა და ჯანმრთელობის პრობლემები აღენიშნებოდა.

არსებული ინფორმაციით, მამაკაცი გვიან ღამით საავადმყოფოდან წამოვიდა.

მომხდართან დაკავშირებით პოლიციამ გამოძიება დაიწყო.

სოფელ ცაისში ორსართულიანი შენობიდან 16 წლის მოზარდი გადმოვარდა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ცაისში ორსართულიანი შენობიდან 16 წლის მოზარდი გადმოვარდა და ის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურმა ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

ბავშვი ცაიშის საჯარო სკოლის მოსწავლეა, რომელიც დასუფთავების აქციაში მონაწილეობდა.

როგორც რეფერალურ საავადმყოფოში აცხადებენ, პაციენტს შუბლის არეში ღია ჭრილობა აქვს და ამ ეტაპზე მას სამედიცინო გამოკვლევები უტარდება.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო და მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

შსს-მ ადამიანის გატაცებაში ბრალდებული 5-კაციანი ჯგუფი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოსა და აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით 5 პირი – 1988 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი რ.ყ., 1984 წელს დაბადებული ლ.ჯ., 1991 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ჯ.დ., 1987 წელს დაბადებული ჯ.მ. და 1983 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი მ.ც. დააკავეს. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 8-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა ნაცნობს, 1980 წელს დაბადებულ მ.შ.-ს, ანგარიშსწორების მიზნით, უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება, ცივი იარაღით სიცოცხლის მოსპობით დაემუქრნენ, რაც მობილურ ტელეფონში ჩაიწერეს.

დადგინდა, რომ მათ აღნიშნული ხმოვანი ჩანაწერი თავიანთ სანაცნობო წრეში გაავრცელეს.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ბრალდებულები ბათუმში, სენაკსა და თბილისში მომხდარიდან რამდენიმე დღეში დააკავეს.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ს 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

გურჯაანის პოლიციამ ხაშურელი ბრაკონიერი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის გურჯაანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაკურციხეში უკანონო თევზჭერის ფაქტი გამოავლინეს.

პოლიციელებმა გადამოწმების მიზნით გააჩერეს ავტომანქანა, რომელსაც ხაშურში მცხოვრები პირი მართავდა.

სამართალდამცველებმა ავტომანქანის დათვალიერების შედეგად 10 კილოგრამი თევზი, გასაბერი ნავი და ელექტროშოკის აპარატი ამოიღეს.

გამოძიება ელექტროშოკის აპარატის გამოყენებით უკანონო თევზჭერის ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ს მე-300 მუხლის პირველი ნაწილით.

მამუკა გვაძაბია: „ოკუპაციის შესახებ კანონის შერბილება დაუშვებელია“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ოკუპაციის კანონი ვინ მიიღო, ამას მნიშვნელობა არ აქვს. რა მოცემულობაშიც მიიღეს, იმ მოცემულობის ადეკვატური იყო. დღეს სიტუაცია გაუმჯობესდა თუ ამ კანონის შერბილებით გაუმჯობესდება. უბრალოდ, ყველაფერი ხდება იმისათვის, რომ ნელ-ნელა, გეგმაზომიერად მოხდეს იმ კატასტროფული სიტუაციის მიჩუმათება, რომელიც აფხაზეთშია, რაც მთავარია, ნიადაგი მომზადდეს საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღსადგენად.

– რამდენადაც ვიცი, საუბარია კანონის იმ პუნქტის შერბილებაზე, რომელიც ეხება რუსეთის მხრიდან ფსოუს საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შეცვლას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობით.

– ვიცი, რა მიმართულებით არბილებენ კანონს. მაშინ შეურბილონ პასუხისმგებლობა რაგოზინსა და მსგავს ადამიანებს, რომლებიც ჩამოდიოდნენ აფხაზეთში ცენტრალური ხელისუფლების თანხმობის გარეშე.

– მხოლოდ რუსი პოლიტიკოსები არ ჩამოდიან სოხუმში. თითქოს პრობლემები ექმნებათ იმ ქართველებს, რომლებსაც რუსეთის მოქალაქეობა აქვთ მიღებული.

– ეთნიკურად როგორ გინდა გაყო, ოკუპირებულ ტერიტორიაზე ვინ შემოდის და ვინ გადის, ეთნიკურად როგორ გავარჩიოთ, ქართველი იქნება, რუსი, სომეხი თუ აზერბაიჯანელი? ამას რა მნიშვნელობა აქვს. ეს საზოგადოების თვალის ასახვევად კეთდება, რაც პირდაპირ და უშუალოდ უკავშირდება, ბოლოს და ბოლოს, აფხაზეთში რკინიგზის გახსნის თემას. თქვენ დაინახავთ, თუ რას გააკეთებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭო ოკუპაციის შესახებ კანონის შერბილების თაობაზე პარლამენტში წინადადებების წარდგენით.

– მეგობარი ქვეყნებიდან შემოსულ ადამიანებსაც ექმნებათ პრობლემებიო.

– რომელი ქვეყნიდან და რა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელიც არ უნდა შემოდიოდეს, არღვევდეს კანონს, კანონის დარღვევა არის დარღვევა. ის არგუმენტი, რომ რუსეთში მცხოვრებ ქართველებს აფხაზეთში ფსოუს მხრიდან შესვლაზე თითქოსდა პრობლემები ექმნებათ, არ არის მისაღები, მით უმეტეს, რუსეთში მცხოვრები იმ ქართველების 80%, ვინც იქ მოღვაწეობს და ბიზნესშია (უმრავლესობა), გაყიდულია და რუსეთის ხელისუფლებას არის მიყიდული. თუ მომეცემა საშუალება, მომავალშიც გეტყვით, თუ რა დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევიან ისინი, რომლებიც შეკრული არიან რუსეთის ხელისუფლებასთან. მათ უნდა შევურბილოთ კანონი? რადიკალი ვარ ამ შემთხვევაში? დიახაც, რადიკალი ვარ. სხვანაირად როგორ ვიყო ამ სიტუაციაში.

– მითხრეს, რომ კანონი შეიძლება გამკაცრდეს, კონკრეტულად რუს სამხედროებთან დაკავშირებით მათზე სისხლის სამართლის საქმეები აღიძრას და გამოცხადდეს საერთაშორისო ძებნა. ასეთი ნორმის ჩაწერას კანონში არ ემხრობით?

– საერთაშორისო ძებნას გამოაცხადებენ, დღესაც არიან დამნაშავეები, რომლების მიმართაც საქმეც არის აღსაძვრელი და საერთაშორისო ძებნაც არის გამოსაცხადებელი დიდი ხანია. ოკუპირებულ ტერიტორიებზე დღესაც არიან ისეთი ადამიანები (ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად), რომლებიც დიდი ხანია, საერთაშორისო ძებნილებად უნდა გამოცხადებულიყვნენ. ბევრნი არიან ნაციონალ– სეპარატისტები, დამნაშავეები და გამოაცხადონ მათი ძებნა, კანონების ჭრასა და კერვას შეეშვან. ძალიან კარგი, მოქმედი კანონია, რომელიც რუსეთის თავის ტკივილია. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა ამ კანონის მიღებლობას გაუსვა ხაზი. მათ წისქვილზე ასხამენ წყალს. რუსეთის უშუალო ინტერესების გატარებაზეა ლაპარაკი.

– ვის მიმართ უნდა გამოცხადებულიყო საერთაშორისო ძებნა?

– ვინც საერთაშორისო სამართალი დაარღვია, ვინც შეიარაღებული თუ სხვა ფორმით ხელყო საქართველოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ტერიტორიული მთლიანობა, ასეთი ადამიანები არიან სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები, ნაციონალ-სეპარატისტები, ოკუპანტები. მიმართონ საქართველოს ხელისფულებას. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გადასცეს საერთაშორისო ძებნაში. ამას რატომ არ აკეთებენ? არ აკეთებენ, რადგან არ არის დავალება. დავალება არის სხვა.

– სხვათა შორის, არცერთ ხელისუფლებას ეს არ გაუკეთებია. მოგეხსენებათ, ძებნა იყო გამოსაცხადებელი გარკვეულ პირებზე, დაწყებული არძინბადან.

– არაერთხელ მითქვამს, რომ არცერთი ხელისუფლება ადეკვატური არ იყო აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების მიმართ. აბსოლუტურად გეთანხმებით, ვერცერთმა ხელისუფლებამ ვერ გაბედა, იმ პირების საერთაშორისო ძებნა გამოეცხადებინა მათ მიმართ, ვინც ხელყო საერთაშორისო სამართლის სუბიექტი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა. ყოფილი ხელისუფლებებიდან ვერცერთმა ვერ გაბედა. ვერც დღევანდელი ხელისუფლება ბედავს. ნაცვლად იმისა, რომ ეს გააკეთონ, რაღაც ხელფასების მომატების მოთხოვნით არიან დაკავებული. იცით ალბათ, აფხაზეთის ე.წ. მთავრობის თავმჯდომარეს 8.500 გაუხდა ხელფასი. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს კი 9.000 და ა.შ. ამით არიან დაკავებული და არა – ზოგადსახელმწიფოებრივი პრობლემებით, რომელსაც უნდა მსხვერპლი და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის ძალისხმევა.

– თქვენ ოკუპაციის შესახებ კანონში რაიმეს არ შეარბილებდით, თუკი ამის საჭიროება დადგებოდა? რის საფასურად შეარბილებდით ამ კანონს?

– ოკუპაციის შესახებ კანონს საერთოდ გავაუქმებდი იმ შემთხვევაში, თუ დაიწყებოდა დევნილების მასობრივი დაბრუნება აფხაზეთში. ოკუპაციის შესახებ კანონის ქონა თვითმიზანი კი არ არის. კანონი ემსახურებოდა მათი პასუხისმგებლობის დაყენებას, ვინც პატივს არ სცემდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. მე პირადად შევიტანდი წინადადებას ამ კანონის გაუქმების თაობაზე, თუ აფხაზეთში დევნილების უსაფრთხო და მასობრივი დაბრუნება დაიწყებოდა. სხვა არცერთ შემთხვევაში კანონი არ უნდა შერბილდეს. მე არაფორმალურ დონეზე ვურთიერთობ აფხაზებთან. იმ ადამიანებს, რომლებსაც უნდათ ჩვენთან, იქ არ აქვთ მხრების გაშლის საშუალება ცენტრალური ხელისუფლების არაადეკვატური პოზიციის გამო.

– ერთი აზრი გამიჩნდა – ხომ არ არის დასაშვები, რომ, ვთქვათ, სოჭში იყოს საქართველოს საკონსულო და, ვისაც უნდა ფსოუს საზღვრის გამოვლით შემოსვლა აფხაზეთში, რუსი იქნება, ქართველი, აფხაზი თუ სხვა ვინმე მეგობარი ქვეყნებიდან, იმ საკონსულოს მეშვეობით შემოვიდნენ? თუ მათთვის მოუხერხებელია თბილისში ჩამოსვლა და აქედან შესვლა, პირობითად რომ ვთქვათ, ხომ შეიძლება, ისარგებლონ სოჭის საკონსულოთი.

– მესმის, მაგრამ ოკუპაციის კანონის ძალა ის არის, რომ ოკუპირებული ტერიტორიიდან, რომელსაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ვერ აკონტროლებს, ის ადამიანები არ უნდა შემოვიდნენ, რადგან პატივს არ სცემენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ისინი ოკუპანტების მიერ ოკუპირებული ტერიტორიიდან შემოდიან. სოჭში საკონსულო რომ გაიხსნას, რა შეიცვლება, ისევ ოკუპირებული ტერიტორიიდან არ შემოვლენ?!

– ოკუპირებული ტერიტორიიდან შემოვლენ, მაგრამ, თუკი საქართველოს საკონსულოს გამოვლით შემოვლენ, ეს, ფაქტობრივად, აღიარებას ხომ ნიშნავს?

– ამ კუთხით ეს განსახილველი საკითხია. უნდა დავფიქრდეთ, რა შეიძლება ამას მოჰყვეს. ცხელ გულზე პასუხის გაცემა გამიჭირდება, მაგრამ ეს დასაფიქრებელი საკითხია. ამ წინადადებით შესულიყვნენ და განეხილათ. თუმცა, მე მაინც მიმაჩნია, რომ საქართველოს არაკონტროლირებადი ტერიტორიიდან მოქალაქეები ლეგალურად ვერ უნდა შედიოდნენ აფხაზეთში. ამ მომენტში ჩემი პოზიცია ასეთია, რათა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა რამენაირ რევიზიას არ დაექვემდებაროს.

– მეორე მხრივ, არ ვიცი, როცა დიპლომატიური ურთიერთობა არ არის, საკონსულოს ქონა სოჭში შესაძლებელია თუ არა.

– გასაგებია, მასზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა შეწყვეტილია. ოკუპაციის შესახებ კანონში ყველაფერი ძალიან მკაფიოდ არის გაწერილი. ამ მკაფიოობის შეცვლა უნდათ, თან ისე სურთ კანონის შეფუთვა, რომ ვინც კანონს დაარღვევს, არც ის დაზარალდეს და არც ის, ვინც შესწორებას შეიტანს. ხელისუფლებას აქვს პოლიტიკა, არც მწვადი დაიწვას და არც შამფური. კანონის ასეთი შერბილება მისი ინტერპრეტირების შესაძლებლობას ემსახურება. არ დაიჯეროთ, კანონი არ გამკაცრდება, თუ გამკაცრდება, მოჩვენებითი გამკაცრება იქნება. მხოლოდ და მხოლოდ კანონის გაბუნდოვანება სურთ. ამას აკეთებს ორგანო, რომელიც ქვეყანაში შექმნილ რეალობას არის მოწყვეტილი.

კალეიდოსკოპი

დაკარგული საპატარძლო

ინდოელმა საცოლე პირდაპირ საქორწინო ცერემონიის დროს დაკარგა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც გოგონამ შენიშნა, რომ მისი საქმრო მელოტდებოდა.

რავი კუმარმა, რომელიც ნეიროქირურგად მუშაობს, თითქმის ათასი კილომეტრი გაიარა ნიუ-დელიდან სოფელ საგოლიმდე, რათა გოგონაზე დაქორწინებულიყო, რომელიც მანამდე არასოდეს ენახა. ქორწილი ერთი წლით ადრე დაიგეგმა. მანამდე საპატარძლოს მამა სამჯერ სტუმრობდა სასიძოს მამას.

საქორწინო ცერემონიის დროს ახალგაზრდებმა რიტუალური თაიგულები გაცვალეს და ჯვრის დასაწერად ეკლესიაში შევიდნენ. იქ კუმარმა თავიდან ტიურბანი მოიხადა და საცოლემ აღმოაჩინა, რომ ის მელოტი იყო. გოგონამ იმწამსვე უარი განაცხადა მასთან დაქორწინებაზე და საკუთარი გადაწყვეტილება, ორივე მხარის ნათესავების არაერთი თხოვნის მიუხედავად, არ შეცვალა.

კუმარმა კი გადაწყვიტა, რომ სახლში მეუღლის გარეშე ვერ დაბრუნდებოდა და სოფლის უხუცესებს მიმართა თხოვნით, მისთვის საცოლე შეერჩიათ. ასეთი აღმოჩნდა ღარიბი ბოსტნეულით მოვაჭრის ქალიშვილი, ნეჰა კუმარი. ჩაშლილი ქორწინებიდან ორი დღის შემდეგ კუმარმა ნეჰასთან იქორწინა.

ნიანგისგან სასწაულებრივად გადარჩენილი ჟირაფი ლომებმა შეჭამეს

ჟირაფმა ნიანგის ყბებისგან თავის დაღწევა შეძლო, მაგრამ ლომებს ჩაუვარდა ხელში. ეს შემთხვევა ვიდეოზე გადაიღეს.

ვიდეორგოლი გიდმა მარიო პოლმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ეროვნულ პარკ კრიუგერში საფარის დროს გადაიღო. მისი ყურადღება ჟირაფის უცნაურმა ქცევამ მიიპყრო,

რომელიც ფეხზე წამოდგომას ვერ ახერხებდა და გამუდმებით ძირს ეცემოდა. გულდასმით დაკვირვების შემდეგ პოლმა და მისი ჯგუფის წევრებმა შენიშნეს, რომ ცხოველის ფეხზე ნიანგი იყო კბილებით ჩაფრენილი და ის თავგანწირვით ცდილობდა მისგან თავის დაღწევას.

– იქ დაახლოებით ერთი საათი გავატარეთ იმის იმედად, რომ ჟირაფი როგორღაც მოახერხებდა უზარმაზარი ნიანგის ყბებისგან თავის გათავისუფლებას, – განაცხადა პოლმა. მისი თქმით, ტურისტები ხმამაღალი შეძახილებით ეხმაურებოდნენ მსხვერპლის ყოველ მცდელობას, თავი დაეღწია რეპტილიის კბილებისთვის, ზოგიერთს ცრემლებიც კი მოსდიოდა.

ბოლოს და ბოლოს, ნიანგმა ჟირაფს პირი გაუშვა, მაგრამ ცხოველმა, იმის გამო, რომ ფეხი ჰქონდა მოტეხილი, სიარული ვეღარ შეძლო. მთელი ამ ხნის განმავლობაში ამ ყოველივეს ლომები ადევნებდნენ თვალს და, როგორც კი ნიანგი ჟირაფს მოშორდა, ისინი მაშინვე თავს დაესხნენ ცხოველს და მთლიანად შეჭამეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გერმანელი სოციალ-დემოკრატები მერკელთან ახალი მთავრობის შექმნას დათანხმდნენ

გერმანელი სოციალ-დემოკრატები ანგელა მერკელის ქრისტიან-დემოკრატიულ/ქრისტიან-სოციალურ ალიანსთან ახალი მთავრობის შექმნას დათანხმდნენ.

აღნიშნული გადაწყვეტილება სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიდა კენჭისყრაზე მიიღეს.

– სოციალ-დემოკრატიული პარტია მონაწილეობას მიიღებს გერმანიის მომავალი მთავრობის შემადგენლობაში, – განაცხადა ჰამბურგის ბურგომისტრმა ოლაფ შოლცმა.

მოსალოდნელია, რომ ოლაფ შოლცი გერმანიის მომავალ მთავრობაში ვიცეკანცლერისა და ფინანსთა მინისტრის პოსტს დაიკავებს.

კოალიციურ მთავრობასთან დაკავშირებით სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნით კენჭისყრა ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა და მასში მონაწილეობა პარტიის 463 ათასმა წევრმა მიიღო.

2017 წლის სექტემბერში გერმანიაში საპარლამენტო არჩევნები გაიმართა, რომლის შედეგად კოალიციური მთავრობის შექმნაზე მოლაპარაკებები დაიწყო.

ტრამპმა რუსეთს სანქციები გაუგრძელა

პრეზიდენტმა ტრამპმა დონბასში ვითარების კვლავ გართულების შემდეგ გადაწყვიტა, რუსეთისთვის სანქციები გაეგრძელებინა.

საუბარია სადამსჯელო ღონისძიებებზე, რომლებიც ობამამ რუსეთს 2014 წელს დაუწესა. მათ ვადა მიმდინარე წლის 2 მარტს გასდიოდა.

ტრამპმა ეს სანქციები კიდევ ერთი წლით გააგრძელა.

– რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ ძალის გამოყენებას განაგრძობს და ამ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას ემუქრება. ჩვენ არ შეგვიძლია, ასეთ ძალადობას მდუმარედ ვუყუროთ, – ამბობს ტრამპი.

აშშ-მ კუბაში თავისი დიპწარმომადგენლობა შეამცირა

აშშ-მ კუბაში თავისი დიპლომატიური წარმომადგენლობა შეამცირა. ახლა კუბაში იმდენი ამერიკელი დიპლომატი რჩება, რამდენიც მინიმალური დიპლომატიური მომსახურებისათვის არის აუცილებელი.

პარალელურად სახელმწიფო დეპარტამენტმა აშშ-ის მოქალაქეებს მოუწოდა, კუბაში მგზავრობისგან თავი შეიკავონ.

– აშშ-ის მოქალაქეების უსაფრთხოება კუბაში დაცული არ არის, – ნათქვამია შეტყობინებაში.

კურტ ვოლკერი: „დონეცკ-ლუგანსკის ფსევდორესპუბლიკები უნდა გაუქმდეს!“

აშშ-ის სპეცწარმომადგენელმა დონბასის საკითხებში კურტ ვოლკერმა განაცხადა, რომ მინსკის სამშვიდობო პროცესი დამუხრუჭებულია. მისი ადგილიდან დაძვრა მხოლოდ დონეცკ-ლუგანსკის ფსევდორესპუბლიკების გაუქმებით არის შესაძლებელი.

– დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკები დამოუკიდებელ სტრუქტურებს არ წარმოადგენს. ესაა საოკუპაციო ადმინისტრაცია და, თუ მშვიდობის აღდგენა გვინდა, ისინი უნდა გავაუქმოთ, – ამბობს ვოლკერი.

კრემლმა პასუხის გაცემა არ დაახანა. რუსმა სენატორმა ალექსეი პუშკოვმა ვოლკერს ფრიად ორიგინალური პასუხი გასცა: დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკები მინსკის პროცესის ნაწილიაო.

– დონბასში გაეროს სამშვიდობოების ჩაყენება დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკების თანხმობის გარეშე ვერ მოხდება, ამიტომ მათი გაუქმება დაუშვებელია, – თქვა პუშკოვმა.

სლოვაკი ჟურნალისტის მკვლელობაში იტალიელი ეჭვმიტანილები გაათავისუფლეს

სლოვაკეთის პოლიციამ ჟურნალისტ იან კუჩიაკისა და მისი საცოლის მკვლელობაში ეჭვმიტანილი 7 პირი დააკავა.

ყველა მათგანი იტალიის მოქალაქეა. არსებობს ეჭვი, რომ ისინი გავლენიანი მაფიოზური დაჯგუფება „ნდრანგეტას“ წევრები არიან, თუმცა ამის დამტკიცება ვერ მოხერხდა.

„ნდრანგეტა“ ვაჭრობს როგორც ნარკოტიკებით, ასევე ცოცხალი ადამიანებითაც. მას გადაჰყავს არალეგალები განვითარებადი ქვეყნებიდან, აგრეთვე მეძავები.

იან კუჩიაკი ხსენებული მაფიოზური დაჯგუფების საქმეებს იძიებდა. სლოვაკეთის პოლიცია ვარაუდობდა, რომ დაკავებულმა იტალიელმა მოქალაქეებმა ამის გამო ჟურნალისტი მოკლეს.

ვარაუდი არ დამტკიცდა. 7 დაკავებულიდან 6 გაათავისუფლეს.

ამას ევროკავშირის ნეგატიური რეაქცია მოჰყვა.

– მომავალ კვირას სლოვაკეთში ჩვენი დელეგაცია ჩავა, რათა ჟურნალისტის მკვლელობის საკითხები შეისწავლოს, – განაცხადა ევროკომისარმა ინგე გრასლემ.

პუტინის მხარდამჭერთა მიტინგზე ნავალნის მომხრე დააკავეს

მოსკოვში, ლუჟნიკების სტადიონზე, პუტინის მხარდამჭერი მიტინგი შედგა. მასში მონაწილეობა 80.000-მდე ადამიანმა მიიღო.

შეკრებილთ სიტყვით თავად პუტინმა მიმართა.

– ჩემი მიზანი ახალი, ძლიერი, აყვავებული რუსეთის შექმნაა! თუ ამირჩევთ, ასეთ რუსეთს ავაშენებ! – თქვა პუტინმა.

მიტინგზე რუსული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის, ნავალნის, მომხრეებიც მივიდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა, ელენე ზახაროვამ, პლაკატი აღმართა:

– რატომ იღუპებიან ჩვენი ბიჭები სირიაში? ვის სჭირდება ომი დონბასში?

ზახაროვა, ისევე, როგორც სხვა ოპოზიციონერები, პოლიციამ დააკავა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივიუძლურება(იმპოტენცია),პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართაპრობლემების:კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

ბორჯღალოსნების რთული გამარჯვება

საქართველო-ესპანეთი 23:10

ბორჯღალოსნებმა 2018 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის მესამე მატჩში უახლოესი მდევარი, ესპანეთი, დაძაბულ ბრძოლაში 23:10 დაამარცხეს. ჩვენებმა ესპანელთა დაცვის ხაზი რამდენჯერმე გაჭრეს და სიტუაცია გაამწვავეს, სალელოვე შესაძლებლობებიც მრავლად შექმნეს, მაგრამ კერკეტი მეტოქე მხოლოდ ორჯერ გატყდა. ეს იყო 2018 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის მესამე ტურის მატჩი და მესამე გამარჯვება.

ესპანელები რუსეთთან და რუმინეთთან მოგებით თავიანთ მეორე მსოფლიო თასს მიუახლოვდნენ. ახლა მათ გერმანია და ბელგია ჰყავთ დასამარცხებელი ერთ-ერთი ბონუსით და იაპონიის საგზური მათი იქნება.

მეტოქის სიძლიერე „მიხეილ მესხზეც“ გამოჩნდა. სტუმრები აგრესიულები იყვნენ რაქებში, სწრაფად წევდნენ დაცვის ხაზს და შემტევებს სივრცეებს უზღუდავდნენ, ხოლო როდესაც ბურთზე კონტროლს ამყარებდნენ ფაზებს აბამდნენ და დაცვაში თამაშს გვაიძულებდნენ.

დებიუტი ქართველების იყო. მეტოქეს ბურთი რაქში ავართვით და კონტრშეტევა წამოვიწყეთ, ანზორ სიჭინავამ მარცხენა ფლანგზე ორჯერ მოიგო მანძილი და ჯამში 10-მეტრიანი წყვეტილიდან 5-მეტრიანამდე მივიდა, იქიდან ვიტო კოლელიშვილმა შეუტია და ლელომდე მეტრი დააკლდა, სამი დარტყმის შემდეგ კი გიორგი თხილაიშვილმა ბურთი ახლო ძელთან დაამიწა, თუმცა უელსელმა რეფერიმ დამიწება ვერ დავაფიქსირეო და შერკინება დანიშნა.

სტუმრები შერკინებაში ორჯერ დაჯარიმდნენ, მესამედ თამაშგარისთვის და მე-10 წუთზე სოსო მათიაშვილმა ახლოდან კარში დარტყმა გადაწყვიტა – 3:0. ამის შემდეგ თამაში ჯერ გათანაბრდა, მერე ბურთი სტუმრებმა მოიხელთეს და დაახლოებით 3 წუთი 15 ფაზით უწყვეტად გვიტიეს, მაგრამ ქართველთა დაცვას ვერაფერი მოუხერხეს. 23-ე წუთზე ესპანელებმა შერკინებაში ჯარიმა გამოიმუშავეს, თუმცა მეთიუ პელიუშონის დარტყმა ძელმა აისხლიტა.

მალე ისევ მასპინძლების ჯერი დადგა: თხილაიშვილმა ხაზი გაჭრა, დაახლოებით 50 მეტრის მოგებაც მოხერხდა, მაგრამ მიზნამდე 10 მეტრში შეტევაში დავჯარიმდით. მალევე უკვე ესპანელები დაჯარიმდნენ რაქში და მათიაშვილმა 38 მეტრიდან გაიტანა. 31-ე წუთზე პელიუშონმა 41 მეტრიდან გატანილი ჯარიმით გვიპასუხა.

34-ე წუთზე ვასილ ლობჟანიძემ გაიბრწყინა, ჩვენს ნახევარზე, 10-მეტრიან წყვეტილთან ხაზი გაჭრა და ბურთი მეტოქის 22-მეტრიანამდე ჩაიტანა, რამდენიმე ფაზის შემდეგ კარის წინ ხაზი უკვე ლაშა ხმალაძემ გაჭრა, მაგრამ მიყოლამ დააგვიანა, საბოლოოდ მხოლოდ ჯარიმას დავჯერდით და მათიაშვილმა კარის წინ 15 მეტრიდან გაიტანა – 9:3 პირველი ტაიმის შემდეგ.

ბორჯღალოსნებმა მეორე ტაიმიც აქტიურად დაიწყეს. მათიაშვილს 40 მეტრიდან ჯარიმა გაუცუდდა, თუმცა შეცდომა რამდენიმე წუთში გამოასწორა – ფეხით გადაკიდებული ჩვენს 22-ში აიღო და მბოჭავებს გამოექცა, იერიში ჯერ ხმალაძემ და მერე გიორგი კვესელაძემ გააგრძელა, რომელმაც ბურთი ხმალაძეს დაუბრუნა, რომელიც 22-ში შებოჭეს, შალვა მამუკაშვილს ლელომდე სულ ცოტა დააკლდა, რამდენიმე ფაზის შემდეგ კი მეტოქე დაჯარიმდა და ლელო რამდენიმე წუთით გადადო. ბორჯღალოსნებმა 5-მეტრა შერკინებაში იმძლავრეს და მეორე, აშკარა ჯარიმის შემდეგ საჯარიმო ლელო გამოიმუშავეს – 16:3.

დასკვნით წუთებში ესპანელებმა შეძლეს ბურთზე კონტროლის დამყარება და ჩვენს 22-ში დიდი დრო გაატარეს. 7-წუთიანი თავგანწირული ბრძოლის შედეგად სინბინით დავკარგეთ დავით კაჭარავა და ტაულუმ ლელოც გაიტანა, ხოლო პელიუშონმა გარდასახა.

20.000 მაყურებლის გასახარად კაცნაკლულმა ბორჯღალოსნებმა თამაში ამაღლებულ ნოტაზე დაასრულეს. დერეფნის შემდეგ კოლელიშვილმა ბურთი მოლიდან სწრაფად გამოიტანა და ინტერვალში გიორგი კოშაძეს შეატევინა, რომელიც ლელოდან 2 მეტრში შეაჩერეს, რაქიდან გიორგი მელიქიძემ ორ მცველს ურქინა და მე-5 სანაკრებო მატჩში თავისი პირველი ლელო გაიტანა, ხოლო მათიაშვილმა გარდასახა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 23:10.

მომდევნო თამაშს ბორჯღალოსნები 10 მარტს კრასნოდარში რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ გამართავენ. შეხვედრა საქართველოს დროით 16 საათზე დაიწყება.

მილტონ ჰეიგი:

– ვამბობდით და ყველანი დავრწმუნდით, რომ ამჟამად ესპანეთის ნაკრები ძალიან კარგი გუნდია. ჩვენ მოთმინება კარგად გამოვიყენეთ, შევქმენით შესაძლებლობებიც, რომელთა ნაწილი, სამწუხაროდ, ვერ გამოვიყენეთ. ვმუშაობთ და გვსურს, რომ უფრო მრავალფეროვნად ვითამაშოთ, მაგრამ ამას დრო სჭირდება. შესრულებაში ყველაფერი არ გამოგვდიოდა, თუმცა ეს მეტოქის კარგ თამაშზეც მეტყველებს და სწორედ მათ არ მოგვცეს ჩანაფიქრის განხორციელების შესაძლებლობა. ახლა ჩემი და მთელი გუნდის ფიქრი მხოლოდ 2019 წლის მსოფლიო თასს უკავშირდება. არ მჩვევია შორსმიმავალ გეგმებზე ფიქრი. როდესაც დასრულდება იაპონიის მსოფლიო თასი, რომელიც, იმედია, ჩვენთვის წარმატებული იქნება, ამის შემდეგ დავსხდებით რაგბის კავშირის პრეზიდენტთან და მაშინ გაირკვევა, დავრჩები თუ არა საქართველოს ნაკრებში.

გიორგი ნემსაძე:

– ჩემი გადაწყვეტილება იყო, რომ ჯარიმები კარში დაგვერტყა, დავწინაურებულიყავით ერთი გარდასახული ლელოს ფარგლებში და მერე გვეთამაშა ლელოზე. მეტოქემ კარგი დაცვა ითამაშა, სწრაფად წევდა ხაზს. ჩვენ მიჩვეულები ვართ ამ მეტოქის ადვილად, დიდი სხვაობით დამარცხებას, მაგრამ ახლა ეს ის გუნდი აღარაა. გვქონდა თამაშის აჩქარების მცდელობები, რაღაც მომენტებში ეს გამოგვდიოდა, თუმცა იყო შეცდომებიც.

სანტიაგო სანტოსი:

– თამაშითა და შედეგით კმაყოფილი ვარ. საქართველოში ამაზე მცირე სხვაობით მხოლოდ ერთხელ დავმარცხდით, სხვა შემთხვევებში უშანსოდ ვიყავით. ჩვენ ვეჩვევით მოგებამდე მისვლას. მოვა დრო, როდესაც მოგებაზე ვიფიქრებთ და მხოლოდ მცირე სხვაობით მარცხი აღარ დაგვაკმაყოფილებს.

ესპანეთის ნაკრებში მრავლად არიან ნატურალიზირებული მოთამაშეები და მიმაჩნია, რომ დღეისათვის ეს განვითარების სწორი გზაა. გასათვალისწინებელია, რომ ფრანგ მოთამაშეებს ესპანური ფესვები აქვთ და ისინი ესპანელები არიან. ჩვენ გვყავს მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონები ფეხბურთში, კალათბურთში, წყალბურთში, ფრენბურთში და იმისათვის, რომ მედიის ყურადღების ცენტრში ვიყოთ, საჭიროა გვქონდეს შედეგი. სწორედ ამ შედეგსა და ხარისხს ემსახურება ნატურალიზირებული მოთამაშეების მოწვევა. მნიშვნელოვანია, რომ ახალმა თაობამ სწორედ ხარისხიან რაგბის უყუროს და თვითონ ეცადოს მსგავსი რაგბის თამაში.

დენიელ სნი:

– ამ მომენტისთვის შედეგით კმაყოფილი არ ვარ. შესაძლოა, რამდენიმე კვირა რომ გავა და ამ თამაშს გავიხსენებ, სხვაგვარად ვიფიქრო. დღეს ჩვენ გვყავს საუკეთესო გუნდი, რაც კი ესპანეთის ნაკრებს ოდესმე ყოლია. თუ კითხვას დავსვამთ ასე – შეგვმატა თუ არა ამ თამაშმა თავდაჯერებულობა, გიპასუხებთ – დიახ, შეგვმატა.

ეროვნული ჩემპიონატი უხვგოლიანად დაიწყო

ტორპედო-დილა 2:3

ქუთაისი. რამაზ შენგელია

1:0 დოლიძე (14), 1:1, 1:2 ფანცულაია (45, 46), 2:2 დოლიძე (54), 2:3 ფორტისი (88)

ტორპედო: კვასხვაძე, ტაბატაძე, ხურცილავა, ჭიჭინაძე, გრიგალაშვილი, გიგაური, კუხიანიძე (მეგრელაძე 86), დოლიძე, წიქარიძე (ბოხაშვილი 57), კუტალია, კაპანაძე (სარდალიშვილი 64)

დილა: ბეგაშვილი, კორიფაძე, ჩადუნელი, გოგიაშვილი, სუხიაშვილი, ფორტესი, რაზმაძე, ნონიკაშვილი (ფორტისი 58), რაჟამაშვილი (სამუშია 92), ქავთარაძე, ფანცულაია (კოვტალიუკი 72)

ეროვნული ლიგის გახსნით მატჩში ქვეყნის ჩემპიონებისა და სუპერთასის მფლობელმა, ფავორიტად მიჩნეულმა ქუთაისის ტორპედომ 2:3 წააგო გორის დილასთან. ქართველების – გრიგოლ დოლიძისა და გიორგი ფანცულაიას დუელი 2:2 მთავრდებოდა, როდესაც ჰოლანდიელმა ალვინ ფორტისმა საჯარიმოს გარედან მძლავრად დააქუხა და ქართლელებს გამარჯვება მოუტანა.

ფორტისი ჰოლანდიელი და ლეგიონერი რომ არის მიხვდებოდით. გიორგი დარასელიამ 58-ე წუთზე შემოიყვანა მოედანზე და მაშინვე დაეტყო, რომ ბურთთან მწყრალად არ იყო. სამაგიეროდ, ქართველი მწვრთნელები არიან ლეგიონერებთან მწყრალად და „შედეგიც“ გვაქვს.

თავიდან ტორპედო უკეთ გამოიყურებოდა, მომენტებიც ჰქონდა, გოლებიც გაიტანა, მაგრამ ერთი არ ჩაუთვალეს. თითქოს საშიშიც არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ ტაიმის ბოლოს ორჯერ უხეშად შეცდა და, თუ პირველად ხარიხამ იხსნა, მეორედ ფანცულაიამ არ აპატია.

ფანცულაიამ მეორე ტაიმის დასაწყისშივე გორელები დააწინაურა, მაგრამ დოლიძემ სტატუსკვო აღადგინა, შემდეგ კი ზემოთ ნახსენები ფორტისის გოლი იყო, რომელმაც რამდენიმე მეტრი ირბინა ტორპედოს მცველებს შორის და...

ჩიხურა-კოლხეთი 6:1

თბილისი. დავით პეტრიაშვილი

1:0 გაბედავა (63), 2:0 მარკოზაშვილი (17), 3:0 გაბედავა (42), 3:1 გოგონაია (61), 4:1 გაბედავა (69), 5:1 ბუღრიძე (71), 6:1 ჩიხლაძე (90)

ჩიხურა: ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი, მეგრელიშვილი, კაშია, მირცხულავა, მარკოზაშვილი (ჩიხლაძე 77), გაბედავა (იონანიძე 85), ლექვთაძე (გუგა 81), ბუღრიძე, კაკუბავა, ჩიკვაიძე

კოლხეთი: სოლოსინი, გოგონაია, არზიანი (ტყემალაძე 46), პანამარიოვი, დანილოვი, კაკულია, მიხაილოვი, კახელიშვილი (გ.კილასონია 46), ჯიმშელეიშვილი (არქანია 72), კაბორე, გოგბერაშვილი

სოსო ფრუიძის გუნდმა წელი სუპერთასზე დრამატული მარცხით დაიწყო, ეროვნული ლიგის პირველ ტურში კი დიდი ანგარიშით გაიმარჯვა. პირველ ტურში საჩხერის ჩიხურამ 6:1 გაანადგურა ფოთის კოლხეთი.

ფოთელთა დაცვის ხაზი და საყრდენი ზონა ძალიან სუსტი და ინერტული იყო, ახალი მთავარი მწვრთნელის ხელმძღვანელობით გუნდმა თურქული შეკრება გაიარა, თუმცა კოლხეთი მაინც შეუთამაშებელი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს.

მთელი მატჩის განმავლობაში მოედანზე მხოლოდ გამარჯვებული გუნდი დომინირებდა, აღსანიშნავია გიორგი გაბედავას (ჰეთ ტრიკი, საგოლე პასი) და ირაკლი ბუღრიძის (გოლი, 2 საგოლე პასი) შედეგიანი თამაში.

ანგარიში გაბედავამ პენალტით გახსნა, შემდგ ბუღრიძის და ირაკლი ლეკვთაძის პასებით ისარგებლა. მანამდე თეიმურაზ მარკოზაშვილმა არ აპატია მცველებს შეცდომა, ბოლოსკენ კი ბუღრიძისა და დემურ ჩიხრაძის დრო დადგა. შუაში ერთი გოლი კოლხეთმაც შეგადო – 11 მეტრიდან ლაშა გოგონაიამ დაარტყა ზუსტად.

მოამზადა მიხეილ ყორუოლიანმა

შედეგები

3 მარტი

ფეხბურთი

ინგლისი. ჰემპიერიგა

ბარნლი-ევერტონი 2:1
ლესტერი-ბორნმუთი 1:1
საუთჰემპტონი-სტოკი 0:0
სუონსი-ვესტ ჰემი 4:1
ტოტენჰემი-ჰადერსფილდი 2:0
უოტფორდი-ვესტ ბრომვიჩი 1:0
ლივერპული-ნიუკასლი 2:0

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	28	24	3	1	82-20	75
2.ლივერპული	29	17	9	3	67-32	60
3.მანჩესტერი	28	18	5	5	53-20	59
4.ტოტენჰემი	29	17	7	5	55-24	58
5.ჩელსი	28	16	5	7	50-25	53
6.არსენალი	28	13	6	9	51-39	45
7.ბარნლი	29	10	10	9	24-26	40
8.ლესტერი	29	9	10	10	41-42	37
9.უოტფორდი	29	10	6	13	39-47	36
10.ევერტონი	29	9	7	13	33-49	34
11.ბორნმუთი	29	8	9	12	34-44	33
12.ბრაიტონი	28	7	10	11	26-37	31
13.სუონსი	29	8	6	15	25-42	30
14.ვესტ ჰემი	29	7	9	13	36-54	30
15.ჰადერსფილდი	29	8	6	15	25-50	30
16.ნიუკასლი	29	7	8	14	27-40	29
17.საუთჰემპტონი	29	5	13	11	29-41	28
18.კრ.პალასი	28	6	9	13	25-43	27
19.სტოკი	29	6	9	14	28-54	27
20.ვესტ ბრომვიჩი	29	3	11	15	22-43	20

ინგლისი. ჩემპიონიგა

ბარნსლი-ნორვიჩი 0:0
ბოლტონი-პრესტონი 1:3
ბრისტოლი-უენსდი 4:0
დერბი-ფულემი 1:2
მილუოლი-სანდერლენდი 1:1
ნოტინგემი-ბირმინგემი 2:1

ესპანეთი. ჰიმეხა დივიზიონი

ვილიარეალი-ხირონა 0:2
სევილია-ბილბაო 2:0
დეპორტივო-ეიბარი 1:1
ლეგანესი-მალაგა 2:0
რეალი-ხეტაფე 3:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	26	20	6	0	69-13	66
2.ატლეტიკო	26	18	7	1	45-11	61
3.რეალი	27	16	6	5	65-29	54
4.ვალენსია	26	15	5	6	50-30	50
5.სევილია	27	14	3	10	36-40	45
6.ვილიარეალი	27	12	5	10	36-32	41
7.ხირონა	27	11	7	9	38-36	40
8.ეიბარი	27	11	6	10	34-39	39
9.ბეტისი	26	11	4	11	43-50	37
10.ხეტაფე	27	9	9	9	33-25	36
11.სელტა	26	10	5	11	43-38	35
12.ლეგანესი	27	9	6	12	23-32	33
13.ბილბაო	27	7	11	9	27-31	32
14.ესპანიოლი	26	7	10	9	23-32	31
15.ალავესი	26	10	1	15	23-37	31
16.სოსიედადი	26	8	6	12	47-47	30
17.ლევანტე	26	3	11	12	21-41	20
18.ლას პალმასი	26	5	5	16	19-53	20
19.დეპორტივო	27	4	7	16	25-57	19
20.მალაგა	27	3	4	20	16-43	13

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ნუმანსია-სარაგოსა 1:2
ლეონესა-რეუსი 2:0
ოსასუნა-კადისი 1:0
ლუგო-გრანადა 2:1

გერმანია. ბუნდესლიგა

შალკე-ჰერტა 1:0
აინტრახტი-ჰანოვერი 1:0
აუგსბურგი-ჰოფენჰაიმი 0:2
ჰამბურგი-მაინცი 0:0
ვოლფსბურგი-ლევერკუზენი 1:2
ლაიპციგი-დორტმუნდი 1:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	24	19	3	2	55-18	60
2.შალკე	25	12	7	6	39-30	43
3.დორტმუნდი	25	11	9	5	50-31	42
4.აინტრახტი	25	12	6	7	33-27	42
5.ლევერკუზენი	25	11	8	6	45-33	41
6.ლაიპციგი	25	11	6	8	38-34	39
7.ჰოფენჰაიმი	25	9	8	8	40-38	35
8.გლადბახი	25	10	5	10	33-37	35
9.აუგსბურგი	25	8	8	9	33-32	32
10.ჰანოვერი	25	8	8	9	32-35	32
11.ჰერტა	25	7	10	8	30-31	31
12.შტუტგარტი	24	9	3	12	20-27	30
13.ფრაიბურგი	24	6	11	7	25-38	29
14.ვერდერი	25	6	9	10	24-30	27
15.ვოლფსბურგი	25	4	13	8	28-33	25
16.მაინცი	25	6	7	12	29-42	25
17.ჰამბურგი	25	4	6	15	18-35	18
18.კიოლნი	24	4	5	15	22-43	17

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

კილი-დუისბურგი 5:0
ნიურნბერგი-ფიურტი 0:2
ზანდჰაუზენი-აუე 1:1

იტალია. სერია ა

სპალი-ბოლონია 1:0
ლაციო-იუვენტუსი 0:1
ნაპოლი-რომა 2:4

სატურნირო ცხრილი:

1.ნაპოლი	27	22	3	2	62-19	69
2.იუვენტუსი	26	22	2	2	63-15	68
3.რომა	27	16	5	6	44-23	53
4.ლაციო	27	16	4	7	64-34	52
5.ინტერი	26	14	9	3	42-21	51
6.სამპდორია	26	13	5	8	46-34	44
7.მილანი	26	13	5	8	37-30	44
8.ატალანტა	25	10	8	7	37-29	38
9.ტორინო	26	8	12	6	36-32	36
10.ფიორენტინა	26	9	8	9	35-32	35
11.უდინეზე	26	10	3	13	37-38	33
12.ბოლონია	27	10	3	14	33-39	33
13.ჯენოა	26	8	6	12	21-27	30
14.კიევო	26	6	7	13	23-43	25
15.კალიარი	26	7	4	15	23-41	25
16.სასუოლო	26	6	5	15	15-46	23
17.სპალი	27	5	8	14	27-49	23
18.კროტონე	26	5	6	15	23-47	21
19.ვერონა	26	5	4	17	24-51	19
20.ბენევენტო	26	3	1	22	18-60	10

იტალია. სერია ბ

სპეცია-ჩეზენა 1:2
ტერნანა-კრემონეზე 2:1
ფროზინონე-ნოვარა 1:0
ჩიტადელა-პესკარა 2:0
ასკოლი-სალერნიტანა 1:3

საფრანგეთი. 1 ლიგა

ტრუა-პსჟ 0:2
ამიენი-რენი 0:2
ანჟე-გენგამი 3:0
მეცი-ტულუზა 1:1
სტ.ეტიენი-დიჟონი 2:2

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	28	24	2	2	86-19	74
2.მონაკო	28	18	6	4	69-30	60
3.მარსელი	27	16	7	4	56-32	55
4.ლიონი	27	14	8	5	57-33	50
5.რენი	28	12	5	11	36-35	41
6.მონპელიე	27	9	12	6	24-21	39
7.ნანტი	27	11	6	10	27-28	39
8.ნიცა	28	11	6	11	34-39	39
9.ბორდო	28	10	6	12	33-37	36
10.დიჟონი	28	10	6	12	40-54	36
11.გენგამი	28	9	8	11	28-38	35
12.სტ.ეტიენი	28	9	8	11	30-43	35
13.კაენი	27	9	5	13	20-32	32
14.ანჟე	28	7	10	11	32-40	31
15.სტრასბური	27	8	7	12	32-47	31
16.ამიენი	28	8	5	15	23-32	29
17.ტულუზა	28	7	8	13	26-37	29
18.ტრუა	28	8	4	16	24-38	28
19.ლილი	28	7	6	15	27-45	27
20.მეცი	28	5	5	18	26-50	20

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ნიმი-პარიზი 2:1

ჰოლანდია. ეროვნული

პსვ-უტრეხტი 3:0
ექსელსიორი-ალკმაარი 1:2
ბრედა-ფეინოორდი 2:1
ჰერენვენი-ტილბურგი 2:0

ბოსნიეტა. ჰიმეიხა ლიგა

ფეირენშე-ბოსანიშტა 3:0
ბენფიკა-მარიტიმუ 5:0
ეშტორილი-ბრაგა 0:6

ჩეხეთი. ჰიმეიხლიგა

ცსკა-ურალი 1:0
ზენიტი-ამკარი 0:0
კრასნოდარი-როსტოვი 3:1

შვეიცარია. სუპერლიგა

გრასჰოპერსი-ლოზანა 0:0

ავსტრია. ბუნდესლიგა

ლინცერი-შტურმი 0:2
აუსტრია-ვოლფსბერგერი 2:0
მატერსბურგი-ადმირა 3:2
სტ.პოლენი-ალტახი 1:2

ბელგია. ა დივიზიონი

ანტვერპენი-ეუპენი 2:0
ბრიუგე-კორტრაიკი 2:1
ბევერენი-გენკი 0:1
გენტი-ოსტენდე 2:3
ვარეგემი-ანდერლეხტი 2:3
მუსკრონი-ლოკორენი 1:2
სტანდარდი-მეხელენი 3:2
შარლერუა-სტ.ტრუიდენი 0:0

საბერძნეთი. სუპერლიგა

პლატანიასი-ლამია 1:2
კერკირა-იანინა 1:1
ატრომიტოსი-ქანთი 1:0

თურქეთი. სუპერლიგა

ქაშიმფაშა-ოსმანლი 1:1
ბაშაქშეჰირი-გიოზთეფე 2:0
ქარაბუქი-გალათასარაი 0:7

ჩეხეთი. 1 ლიგა

იიჰლავა-ტეპლიცე 3:1
ზლინი-იაბლონეცი 0:4
სიგმა-სლოვაკეკო 1:0
ლიბერეცი-კარვინა 2:2
ბოლესლავი-სლავია 0:3

ბოლონეთი. ექსტრაკლასი

სლასკი-სანდეცია 0:0
კორონა-პოგონი 0:0

უკრაინა. ჰიმეიხლიგა

ვორსკლა-ჩერნომორეცი 2:1

დანია. სუპერლიგა

ლუნგბიუ-ჰობრო 0:3

ქუთაისმა მდევარი დაამარცხა

ქუთაისი-რუსთავი 76:68
(19:18, 26:13, 22:12, 9:25)

იმერეთის დედაქალაქს ქვემოქართლური რუსთავი ეწვია და ეს გახლდათ მესამე წრის ცენტრალური მოვლენა. მიმდინარე სუპერლიგის ლიდერმა ქუთაისმა მეორე ადგილზე მყოფ რუსთავს უმასპინძლა და 76:68 დაამარცხა.

როგორც ხედავთ, საბოლოოდ დიდი სხვაობა არ დაფიქსირებულა, თუმცა მატჩის ბედი მესამე პერიოდში გადაწყდა. თანაბარი პირველი პერიოდის შემდეგ მასპინძლები სრულ უპირატესობას დაეუფლნენ და მეორე მეოთხედის 26:13, ხოლო მესამესი – 22:12 მოგების შემდეგ 24 ქულით დაწინაურდნენ.

დარჩენილ 10-წუთეულში რუსთაველებმა მაქსიმალურად მოინდომეს, თუმცა მხოლოდ მცირე სხვაობით დამარცხება მოახერხეს. დასკვნითი პერიოდი სტუმრებმა 25:9 მოიგეს და საბოლოოდ შეხვედრა მხოლოდ 8 ქულით დათმეს.

ქუთაისელთაგან 20 ქულით გიორგი ბარბაქაძე გამოირჩა. 17 ქულა დააგროვა ჯონათან ლიმ, ხოლო დეჟუან რაიტმა შეხვედრა 11 ქულით დაასრულა. რუსთავში 23 ქულით საუკეთესო იყო ადამ ბლეიზეკი.

დინამო-კაპტუსი 76:62
(23:14, 22:17, 14:11, 17:20)

დინამომ ჩემპიონატი რიხიანად დაიწყო და ახალ წლამდე ერთპიროვნულ ლიდერად მივიდა, თუმცა ახალდაწყებულ 2018 წელში უკვე 6 მარცხი განიცადა და ცხრილის შუისკენ დაეშვა. დინამოელებს აშკარად ჩავარდნა ჰქონდათ და სანაკრებო ფანჯარამ მათზე დადებითად იმოქმედა. მცირე შესვენების შემდეგ, ირაკლი ხოშტარიას გუნდმა საკმაოდ ძლიერ კაკტუსთან მაღალ დონეზე ითამაშა და ჩემპიონატში მე-12 გამარჯვება მოიპოვა.

დინამოელებს აკლდათ მიხეილ ბერიშვილი, რომელმაც ნაკრებში თამაშისას თითის ძვალი გაიბზარა და ახლა გარკვეულ დროს უქმობა მოუწევს. ერთ-ერთი ლიდერის არყოფნაში დინამოს ილია ლონდარიძემ ულიდერა, რომელმაც 16 ქულა და 9 მოხსნა მოაგროვა. ამერიკელმა ლეგიონერმა რეივენ ლიმაც 16 ქულა მიითვალა, ხოლო მატჩის ერთადერთი ორმაგი დუბლის ავტორი კაელ ტურპინი გახდა – 11 ქულა, 15 მოხსნა. კაკტუსში 10-ქულიანი ბარიერი მხოლოდ დეანდრე რეიმ გადალახა, რომლის ანგარიშზეც 22 ქულა დაგროვდა.

დელტა-მგზავრები 79:95
(16:31, 18:16, 21:29, 24:18)

ერთმანეთს ცხრილში მეზობლები მარნეულის დელტა და თბილისის მგზავრები შეხვდნენ. მატჩმა არ გაამართალა. ბრძოლა, რომელსაც მაყურებელი ელოდა, არ შედგა. მგზავრებმა საკმაოდ იოლად – 94:79 იმარჯვა და მეტოქესთან დაკარგული ქულებით უპირატესობა მოიპოვა.

ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა პირველივე პერიოდში დამაჯერებელი ლიდერობა მოიპოვა. კახა ჯინჭარაძისა და ამერიკელი ლეგიონერების – ბერნარდ ნკალის, ადრიან ბოუისა და ტეილორ სტეფორდის შედეგიანობით პირველი პერიოდი 31:16 მოიგეს და ტემპი არც მეორე ათწუთეულში დააგდეს. დიდ შესვენებამდე ბევრი არაფერი შეცვლილა და მგზავრებს 13-ქულიანი ლიდერობა შერჩათ, თუმცა მესამე პერიოდში თბილისელების უპირატესობამ 20 ქულას გადააჭარბა და მატჩის ბედიც, ფაქტობრივად, გადაწყდა.

ბოლო მეოთხედი ფორმალობა გამოდგა, რომელიც დელტამ 24:18 მოიგო, თუმცა საბოლოოდ მაინც გვარიანი სხვაობით დამარცხდა.

მგზავრებს 25 ქულით კახა ჯინჭარაძემ ულიდერა. 16 ქულა დააგროვა ბერნარდ ნკალიმ, ხოლო დავით ბარბაქაძის ანგარიშზე 15 ქულა დაგროვდა. დელტაში 16 ქულით საუკეთესო იყო ნიკოლას ნილი, 13 ქულა დეანდრე რეიმ მიითვალა.

ბათუმი-სოხუმი 82:73
(15:21, 24:19, 29:14, 14:19)

აჭარაში სათამაშოდ ჩემპიონატის აუტსაიდერი სოხუმი ჩავიდა, რომელმაც იბრძოლა, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდა და უიმედო მდგომარეობა კიდევ უფრო დაიმძიმა.

სოხუმელებმა თამაში ყოჩაღად დაიწყეს და პირველი პერიოდი 6 ქულით მოიგეს – 21:15. მეორე ათწუთეულში ვითარება მასპინძელთა სასარგებლოდ შეიცვალა, რომლებმაც დიდი შესვენებისთვის ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს – 39:40. გარდატეხა მოხდა მესამე პერიოდში, რომელიც მასპინძლებმა 29:14 მოიგეს. 14-ქულიანი ჩამორჩენა სოხუმელებმა დასკვნით 10-წუთეულში ვერ გაათანაბრეს და 73:82 დამარცხდნენ.

ბათუმელებს 22-22 ქულით სპენსერ კოლინსმა და ილია შემოსიუკმა ულიდერეს. სოხუმში 21 ქულით საუკეთესო იყო ბიშოპ დენიელსი, ხოლო სერგო ათუაშვილმა 10 ქულა და ამდენივე მოხსნა მოაგროვა.

სატურნირო ცხრილი:

1.ქუთაისი	19	16	3	1620:1417	35
2.რუსთავი	20	14	6	1635:1525	34
3.დინამო	19	12	7	1557:1420	31
4.კაკტუსი	20	11	9	1589:1625	31
5.ბათუმი	20	10	10	1520:1442	30
6.ოლიმპი	19	11	8	1481:1424	30
7.მგზავრები	19	7	12	1473:1607	26
8.დელტა	20	6	14	1601:1735	26
9.სოხუმი	20	1	19	1501:1782	21

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

აპოკალიფსი 12 წელიწადში – დედამიწა გაცვდა, ადამიანები არსებობას ვეღარ შეძლებენ

დედამიწის მოსახლეობა ძალიან სწრაფი ტემპით იზრდება. 2017 წლის მიწურულს მოსახლეობის რაოდენობა 7.6 მილიარდს შეადგენდა. ყოველწლიურად ეს რიცხვი საშუალოდ 83 მილიონით, ანუ ყოველდღე დაახლოებით 220 ათასი ადამიანით იზრდება და სავარაუდოა, რომ 2030 წლისთვის 9 მილიარდამდე მიაღწევს.

საინტერესოა, როგორ და რამდენად არის შესაძლებელი ამ რაოდენობის მცხოვრებთა უზრუნველყოფა დედამიწის რესურსებით, მით უმეტეს, მაშინ, როცა შობადობის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია იმ ქვეყნებში, სადაც სოციალური პირობები ძალიან მძიმეა, ხოლო დედამიწის ეკოლოგიური მდგომარეობა დღითიდღე უარესდება.

ათასობით წლის განმავლობაში დედამიწის მოსახლეობა თანდათანობით, არცთუ ისე სწრაფად მატულობდა, თუმცა მე-19 საუკუნის შუა ხანებისთვის ზრდის ტემპი შესამჩნევად გაიზარდა.

1830-1930 წლებში მოსახლეობის რაოდენობა გაორმაგდა და 1 მილიარდიდან 2 მილიარდი გახდა. 1960 წლისთვის ამ რიცხვმა 3 მილიარდს მიაღწია, 1999 წლისთვის კი – 5 მილიარდს.

შორს წაგვიყვანს მსჯელობა იმაზე, თუ რა ისტორიულმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა პირობებმა განაპირობა ასეთი სწრაფი „დაწინაურება“, დღეისთვის აქტუალური და მთავარი მხოლოდ ერთი კითხვაა: დედამიწის ბუნებრივი რესურსები არის საკმარისი ამ რაოდენობის მოსახლეობის საზრდოსთვის?

ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა შეუძლებელია, რადგან ჩვენ არ ვიცით, რა სახის ტექნოლოგიები და ცხოვრების წესი იქნება გავრცელებული საზოგადოებაში თუნდაც 10 წლის შემდეგ, სამაგიეროდ, ვიცით, რომ დედამიწის ბუნებრივი რესურსები შეზღუდულია და დეფიციტური.

დაიწყება მარილიანი წყლების გამოხდა

დედამიწაზე არსებული წყლის 97% მარილიანი და მომწამვლელია როგორც ადამიანების, ისე მცენარეებისთვის. სუფთა წყლის რაოდენობა მხოლოდ %-ია და აქედან s ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსებზეა გაყინული. დარჩენილი მარაგი კი ძირითადად 10 სახელმწიფოს ტერიტორიაზეა თავმოყრილი.

მეცნიერები ფიქრობენ, რომ 2025 წლისთვის 50-მდე ქვეყანაში წყლის მწვავე დეფიციტი დაიწყება. გამოსავალი მხოლოდ მარილიანი წყლის გამოხდა, ანუ მარილისგან გამოთავისუფლება შეიძლება იყოს, თუმცა ამ პროცედურის წარმოება განსაკუთრებით დიდ ენერგიას, დროს, სამუშაო რესურსებსა და ტექნოლოგიას მოითხოვს, ამიტომ ძალიან ძვირი ჯდება.

უნაყოფო ნიადაგი

ნიადაგის მოცულობა, რომელსაც საკვების მოსაპოვებლად ვიყენებთ, ასევე შეზღუდულია. დღეისთვის მოსავლის მოსაყვანად დედამიწის ხმელეთის მხოლოდ 11%, ხოლო მეცხოველეობის (ანუ საძოვრებისთვის) მხოლოდ 20%-ია ვარგისი. ყოველწლიურად ამ ტერიტორიებს მუდმივად მზარდი ქალაქები იკავებენ და მათი ნაყოფიერებაც ინტენსიური დამუშავების შედეგად თანდათანობით მცირდება.

ყოველ 5 წელიწადში აშშ-ისა და კანადის საერთო ზომის ანუ 18 მილიონი კვ. კმ ფართობის ტერიტორია ინტენსიური ფერმერული დამუშავების შედეგად იფიტება და სოფლის მეურნეობისთვის უვარგისი ხდება.

დამღუპველი კოსმოსი

სუფთა ჰაერი ასევე უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი რესურსია, რომელსაც განსაკუთრებული საფრთხე ემუქრება მოსახლეობის ზრდის გამო.

ყოველწლიურად თითოეული ადამიანი ატმოსფეროში საშუალოდ 1.1 კუბურ ტონა ნახშირორჟანგს გამოყოფს სუნთქვის შედეგად, რასაც ასევე ემატება გაზის, ნახშირის, ნავთობის, ხის წვის შედეგად გამოყოფილი ნახშირორჟანგი, რის გამოც, საბოლოო ჯამში, CO2 -ის რაოდენობა 20 %-ით არის გაზრდილი 1960 წელთან შედარებით, ეს კი დიდ ზიანს აყენებს ატმოსფეროს, განსაკუთრებით ოზონის შრეს, რომელიც თანდათანობით უფრო და უფრო გამტარი ხდება ულტრაიისფერი გამოსხივებისა და სხვა ადამიანისთვის დამღუპველი კოსმოსური ზემოქმედებებისადმი.

32 წელიწადში ნავთობი მთლიანად გაქრება, 42 წელიწადში – გაზი

დღეისთვის არსებობს ბუნებრივი ენერგიის მრავალი წყარო, რომელიც თანამედროვე ბიზნესის ძირითად ობიექტებსაც წარმოადგენს. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნავთობი, ქვანახშირი და ბუნებრივი აირი. მათი მარაგისs -ს მხოლოდ განვითარებული ქვეყნების მცირე რაოდენობა მოიხმარს, სადაც რაც უფრო იზრდება ცხოვრების სტანდარტები, მით უფრო მეტად იზრდება მოთხოვნილება ამ რესურსებზეც.

მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ თუ დედამიწაზე ყოველი ადამიანი ყოველდღიურად აშშ-ის მოქალაქესავით მოიხმარდა ბუნებრივ რესურსებს, მაშინ მათი მარაგი 10 წელიწადში სრულიად ამოიწურებოდა.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ყოველწლიურად დედამიწაზე იხარჯება 11 მილიარდი ტონა ნავთობი და ეს მაჩვენებელი თუ შენარჩუნდება, 2050 წლისთვის ნავთობის მარაგი სამუდამოდ ამოიწურება.

რაც შეეხება ბუნებრივ გაზსა და ქვანახშირს, მათი რაოდენობა მართალია, ნავთობისას აღემატება, მაგრამ 2060 წლისთვის გაზი საერთოდ აღარ იარსებებს, 2080 წლისთვის კი – ქვანახშირი.

გამოსავალი – ცხოვრების წესის შეცვლა

როგორც ვხედავთ, მოსახლეობის ზრდასთან და ბუნებრივი რესურსების კლებასთან ერთად დედამიწის მომავალიც უფრო ბუნდოვანი ხდება. საეჭვოა, რომ მან 9 მილიარდი ადამიანის უზრუნველყოფა მოახერხოს, მით უმეტეს, რესურსების ასეთი მწვავე დეფიციტის და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესების პირობებში.

გამოსავალი მხოლოდ იმაშია, რომ დროულად გავამახვილოთ ყურადღება მოსალოდნელ საფრთხეებზე და შევეცადოთ, ცხოვრების წესი გლობალურად შევცვალოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში შიმშილის, სიღატაკისა და დაუძლეველი კატაკლიზმების წინაშე დაუცველნი აღმოვჩნდებით.

ლიკა ჩხეტიანი

ჯალეიდოსკოპი

ჩინეთში რესტორნის მომხმარებლებმა ოფიციანტს სცემეს

ჩინეთის ხუნანის პროვინციის ქალაქ ხენიანში რესტორნის მომხმარებლებმა ოფიციანტ გოგონას სცემეს, რომელმაც მათ სთხოვა, მოთმინებით აღჭურვილიყვნენ, სანამ მათ შეკვეთას მოამზადებდნენ.

ოფიციანტს ჯერ ერთმა მომხმარებელმა გაარტყა სახეში, შემდეგ ქალმა, რომელიც მასთან ერთად იყო რესტორანში მისული, გოგონას თმებში სტაცა ხელი და თავში ჩასცხო. სანამ ისინი რესტორნის თანამშრომელს სცემდნენ, სხვა მომხმარებლებმა მას მაგიდაზე დალაგებული ჭურჭელი დაუშინეს.

ოფიციანტ გოგონას ამ ინციდენტის შედეგად სერიოზული ტრავმები არ მიუღია. მომხდარის გამოძიებით პოლიციაა დაკავებული. რესტორნის მფლობელის მტკიცებით, სამართალდამცავი ორგანოები უკვე ეძებენ ერთ-ერთ ხულიგანს.

პორნოს გადაღებებისთვის გამოყენებულმა სახლმა მისი მყიდველი დააფრთხო

ამერიკის არიზონის შტატის ქალაქ პარადაიზ-ველიში სახლის გაყიდვა მას შემდეგ ჩაიშალა, როდესაც გაირკვა, რომ მასში 20 წლის განმავლობაში პორნოს იღებდნენ.

სახლი, რომლის ფართობი 388 კვადრატულ მეტრს შეადგენდა და რომელშიც ოთხი საძინებელი იყო, ხედით მთებზე, 1,8 მილიონ დოლარად იყიდებოდა. პოტენციურ მყიდველთან საუბარში უძრავი ქონების გაყიდვების აგენტმა განაცხადა, რომ მას ყიდდნენ პირები, რომლებიც გასართობ ინდუსტრიასთან იყვნენ დაკავშირებულნი.

ქალი მათი საქმიანობით დაინტერესდა და გაარკვია, რომ საუბარი იყო კევინ და სანდრა ოტერსონებზე. ისინი პორნო ვებგვერდის მფლობელები იყვნენ და აღნიშნული სახლი არაერთხელ გამოუყენებიათ გადასაღებ მოედნად.

ავსტრალიელმა ვიდეოს გადასაღებად ნიანგთან ერთად იბანავა

ავსტრალიელმა აბაზანაში მოშინაურებულ ნიანგთან, სახელად სვომლისთან ერთად აბაზანაში იბანავა. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეო იუთუბზე იქნა გამოქვეყნებული.

ვიდეორგოლში ავსტრალიელი აბაზანაში მოკალათდა პატარა რეპტილიასთან ერთად, რომელიც მკერდზე დაისვა და აღიღინდა:

– მიყვარს სვომლისთან ერთად ბანაობა, მიყვარს სვომლისთან ერთად ბანაობა, ის ნელა დაცურავს და არ მკბენს ... ჩვენ გვიყვარს ავსტრალიაში ცხოვრება, სადაც შესანიშნავი ატმოსფეროა.

– მე აბაზანა ჭეშმარიტად ავსტრალიურ მანერაში მივიღე, როდესაც ჩემს შინაურ ნიანგ სვომლისთან ერთად ჩავწექი წყალში, – განაცხადა მამაკაცმა, – ოდნავ მაფიქრებდა ის, რომ სვომლის შესაძლოა პირი ჩემი ორგანოებისთვის ჩაევლო, მაგრამ ის საკმაოდ კმაყოფილი გამოიყურებოდა, მიუხედავად იმისა, რომ საშინლად ვმღეროდი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

5 მარტისთვის

ვერძი – საკუთარი შესაძლებლობების ღრმად გაანალიზებისათვის შესაფერისი დროა. ახალი ნაცნობობა თქვენს მომავალ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. **კურო** – ბიზნესში გიმართლებთ. საქმიანი გარიგებები ხელსაყრელი იქნება. **ტყუპები** – შემოქმედებით სფეროში წარმატებას ელოდეთ. ოცნებების ასრულების დღეა. **კირჩხიბი** – ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის კეთილისმყოფელი პერიოდი დადგა. ერიდეთ სპონტანურ გადაწყვეტილებებს. **ლომი** – უსიამოვნო ინფორმაცია, ცრუ დაპირებები და მოტყუებაა მოსალოდნელი. იფრთხილეთ. **ქალწული** – ძალები სწორად გაანაწილეთ. ზედმეტი აქტიურობა არასასურველია. **სასწორი** – იღბლიანი დღეა. ვარსკვლავების განლაგება თქვენთვის სასიკეთოა. **ღრიანცელი** – ნერვული და დაძაბული პერიოდია. ეცადეთ, ეს დღე ბუნების წიაღში, ბავშვებთან და საყვარელ ადამიანებთან ერთად გაატაროთ. **მშვილდოსანი** – ავტორიტეტს გაუფრთხილდით. ნებისმიერი გადაწყვეტილება მხოლოდ დიდი დაფიქრების შემდეგ მიიღეთ. **თხის რქა** – ემოციური განახლება იწყება. ახალგაცნობილი ადამიანი თქვენს ცხოვრებაში პოზიტიურ ცვლილებებს შეიტანს. **მერწყული** – საქმიანი მოლაპარაკებები იღბლიანად წარიმართება. თქვენთვის სასურველ შემოთავაზებას მიიღებთ. **თევზები** – კეთილისმყოფელი დღეა. აჩქარება და სპონტანურობა დაგაზარალებთ. საქმე მშვიდად აკეთეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ალექსანდრე ხომერიკი: „აბესალომიდან ოტელომდე“



ცნობილ ტენორ ალექსანდრე ხომერიკზე გივი სიხარულიძემ წიგნი დაწერა. მისი პრეზენტაცია ოპერის თეატრის წითელ დარბაზში გაიმართა.

„აბესალომიდან ოტელომდე“ – ასე ეწოდება წიგნს, რომელშიც მოგონებები და ნოველებია გაერთიანებული.

როგორ გაჩნდა წიგნის გამოცემის იდეა და რას გაიგებს ახალს ალექსანდრე ხომერიკის შესახებ მსმენელი, ამის შესახებ ოპერის მომღერალი „ახალ თაობას“ ესაუბრა:

– როგორ გაჩნდა წიგნის გამოცემის იდეა?

– საერთოდ არ მიფიქრია წიგნის გამოცემაზე, მაგრამ გივი სიხარულიძის დაჟინებული თხოვნითა და მოთხოვნით მეც, რა თქმა უნდა, დიდი ფიქრის შემდეგ დავთანხმდი, რადგან ჩემი სამოცდაათი წლისთავი მოდის სექტემბერში და მინდოდა, დამთხვეოდა ჩემს საიუბილეო საღამოს, რომელიც გაიმართება ოპერისა და ბალეტის თეატრში. ამ იუბილეს ჩატარებაში მეხმარება ჩემი უმცროსი მეგობარი და კოლეგა, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, გამოჩენილი ტენორი ბადრი მაისურაძე.

წიგნში გამოყენებულია გამოჩენილი ადამიანების მიერ დაწერილი პუბლიკაციები ჩემ შესახებ, რომლებიც შეაგროვა და 60 წლის იუბილეზე გადმომცა შესანიშნავმა ქალბატონმა ანა არჯევანიძემ საჩუქრისა და დაფასების ნიშნად. ეს ქალბატონი ახლა ამერიკაში იმყოფება. ჩემი თაობის მომღერლების აზრები ჩემი შემოქმედების შესახებ დაწერილია ჩემი თხოვნის საფუძველზე, ასევე ახალგაზრდა თაობის მსოფლიოში აღიარებული მომღერლების მიერ. წიგნში წარმოდგენილი არიან ჩემი ახალგაზრდა მოსწავლეებიც. რაც მთავარია, ჩემი ცხოვრების ეპიზოდები ნოველების სახით მოამზადა ჩვენმა შესანიშნავმა მწერალმა გივი სიხარულიძემ. წიგნი გამოსაცემად მოამზადეს ქალბატონმა ნინო რეხვიაშვილმა და მისმა კოლეგებმა, რისთვისაც უდიდეს მადლობას ვუხდი მათ.

– რამდენად მოხერხდა ამ წიგნში თქვენი მრავალფეროვანი და საინტერესო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეტაპების ჩატევა?

– რა თქმა უნდა, ნაწილობრივ ყველაფერი წიგნში ბრწყინვალედ არის გადმოცემული, მაგრამ სათქმელი ძალიან ბევრი დამრჩა, რომელიც ალბათ 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით განხორციელდება.

– რას გაიგებს ახალს თქვენ შესახებ თქვენი ერთგული მსმენელი?

– ჩემზე უფროსმა თაობამ, ჩემმა თაობამ ძალიან კარგად იცის ჩემი ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გზა. ეს წიგნიც ძალიან საინტერესო იქნება 40 წელს ქვევით დაბადებულთათვის. ისინი ბევრს ახალს გაიგებენ ჩემ შესახებ.

– რა არის თქვენი მთავარი სათქმელი?

– მინდა, რომ ხმამაღლა გამოვთქვა აღშფოთება იმ ბაკქანალიის საწინააღმდეგოდ, რომელიც სუფევს დღევანდელ ელექტრონულ მედიაში. ეს ყველა ტელევიზიას არ ეხება. ვუსურვებდი, უფრო ჩამოყალიბებულიყოს, დახვეწილიყოს და ტელევიზიაში მეტი პროფესიონალი მუშაობდეს.

ნოდიკო ტატიშვილი ვენაში მიიწვიეს

3 მარტს, დედის დღეს, მომღერალი ნოდიკო ტატიშვილი ვენაში მიიწვიეს. მან ავსტრიის დედაქალაქში კონცერტი იქ მცხოვრები ქართველებისთვის გამართა.

ვენაში დაგეგმილი კონცერტის ორგანიზატორობა ია ხუროშვილმა ითავა. ის ავსტრიის დედაქალაქში ქართველ მომღერლებს იწვევს და ემიგრანტებისთვის კონცერტების ჩატარებას სთავაზობს.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ნოდიკომ უცხოეთში მცხოვრები ქართველებისთვის კონცერტი გამართა, თუმცა ვენაში ემიგრანტებისთვის პირველად იმღერა.

მომღერლის თქმით, უცხოეთში დაგეგმილი თითოეული კონცერტი მისთვის იმდენად საპასუხისმგებლოა, რომ მსმენელთან შესახვედრად ყოველთვის განსაკუთრებულად ემზადება.

რაც შეეხება საკონცერტო რეპერტუარს, მომღერალი ყოველთვის ცდილობს, შეარჩიოს ის სიმღერები, რომლებიც მსმენელს განსაკუთრებულად უყვარს.

ნინი გოგიჩაიშვილი: „უკვე მეორედ მიტეხავენ სახლს“

მოდელი და ტელეწამყვანი ნინი გოგიჩაიშვილი ავრცელებს ინფორმაციას, რომ მათ სახლი გაუტეხეს.

ნინი გოგიჩაიშვილი:

– უკვე მეორედ მიტეხავენ სახლს და ვარ უძლური, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.

ჩვენთან, აგარაკზე, სადაც ბაბუაჩემი ადის ყოველ შაბათ-კვირას, აქცევს ყურადღებას, უვლის, დარგული აქვს ათასნაირი ჯიშის მცენარე,

ააშენა სახლი ლამის საკუთარი ხელით, ჩადო უამრავი შრომა და ორმაგად საწყენია ასეთი უსამართლობა.

ვისაც ეს პრობლემა შეგხებიათ და იცით, რა მტკივნეულია, შენს სახლს ჯერ რომ ტეხავენ და მერე გააქვთ თითქმის ყველაფერი, დანა-ჩანგალიც კი... მაინტერესებს, ამ შემთხვევაში რა უნდა მოვიმოქმედოთ? დამეხმარეთ.

მარინე იაშვილის სტრადივარიუსის ვიოლინო დაიკარგა

ცნობილი ქართველი მევიოლინის მარინე იაშვილის მრავალ მილიონად შეფასებული ანტონიო სტრადივარიუსის ვიოლინო დაიკარგა. მუსიკოსი მასზე 65 წლის განმავლობაში უკრავდა.

ინფორმაცია სოციალურ ქსელში ნინო მამუკელაშვილმა გაავრცელა:

– მოსკოვში 2012 წელს 9 ივლისს, დილით ადრე, გარდაიცვალა უდიდესი მევიოლინე მარინე იაშვილი. როგორც კი ეს ამბავი გახდა ცნობილი, რამდენიმე საათში მივიდა საქართველოს საელჩოს წარმომადგენელი და მოითხოვა, რომ ქართული კულტურის საგანძური, ანტონიო სტრადივარის ვიოლინო მისთვის გადაეცათ. ამ ვიოლინოთი მარინე იაშვილი 65 წელი სარგებლობდა და ჰქონდა დიდი ხნის წინ შეთავაზება, რომ შეესყიდა, რაზეც მან უარი განაცხადა, რადგან უნდოდა, რომ მის მერე ნიჭიერი მევიოლინისათვის გადაეცათ. გაფორმდა გადაცემის ხელშეკრულება და ამის მერე სტრადივარის მრავალ მილიონად შეფასებული ვიოლინო არავის უნახავს!

რატომ არავინ დაინტერესდა ვიოლინოს ბედით, არც კულტურის სამინისტრო და არც შინაგან საქმეთა სამინისტრო? ჯერ ერთი, რომ ყუთში უმოქმედოდ მყოფი ვიოლინო გამოუსადეგარი ხდება და კარგავს თავის თვისებებს. ეჭვია, რომ ვიოლინო გატანილია საზღვარგარეთ და დიდი ხნის გაყიდულია!

ბუბა ხოტივარი: „მოვითხოვოთ თუ არა პასპორტებში ეროვნულობის აღნიშვნა“



რეჟისორი ბუბა ხოტივარი ქართველ საზოგადოებას მოუწოდებს, ამ თემაზე საუბარს სჯობია, თითოეულმა მათგანმა სახელმწიფოზე იფიქროს.

ბუბა ხოტივარი:

– მოვითხოვოთ თუ არა პასპორტებში ეროვნულობის აღნიშვნა? საქართველოს სახელმწიფოზე ვიფიქროთ, ხალხო...

თავის ეროვნებას სხვაც ჩაწერს და მერე მოგთხოვს ავტონომიას, ამდენი და ამდენი ვართო. უმალ გამოჩნდებიან სხვადასხვა ცენტრიდან დაფინანსებული პროვოკატორები, რომლებიც მთელ მსოფლიოში ატეხენ ამბავს, აი, ჩვენ ესენი და ესენი ვართ, ქართველები კი ავტონომიას არ გვაძლევენო. ამიტომ, ერთხელ მაინც დავფიქრდეთ და ნუ ავვარდებით, როგორც გვჩვევია.

ეროვნულობის აღნიშვნა ჩვენთვის საჭირო იყო სსრკ-ის შემადგენლობაში, ქართველობის დასაცავად, ახლა კი ყველა საქართველოს მოქალაქენი ვართ! საერთოდ, ამ საკითხზე დიდი აყალმაყალის ატეხაც ფარული პროვოკაციაა!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

ავსტრალიის ზოოპარკს ყველაზე დიდი შხამიანი ობობა ჩააბარეს

ავსტრალიის ზოოპარკს ჩააბარეს ყველაზე დიდი სიდნეური ობობა, რომელიც ყველაზე დიდია მათ შორის, რომლებიც კი აღმოუჩენიათ.

ფეხსახსრიანი არსების ზომა 7,8 სანტიმეტრს შეადგენს მისი ფეხების სიგრძის გათვალისწინებით. ჩვეულებრივ ასეთი ობობების სიგრძე ერთიდან ხუთ სანტიმეტრამდე მერყეობს.

აღნიშნული ობობა იმ დროს აღმოაჩინეს, როდესაც „წველის“ პროგრამის ფარგლებში ობობების შეგროვება მომდინარეობდა. სპეციალური ცენტრის თანამშრომლები ყოველ ორ კვირაში ერთხელ მათი ანტიდოტის შესაქმნელად ასეულობით ობობას შხამს აცლიან. ამ ინიციატივის წყალობით ქვეყანაში, 1981 წლიდან მოყოლებული, სასიკვდილო კბენის არცერთი შემთხვევა არ ყოფილა დაფიქსირებული.

ამ სახეობის ობობები მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე აგრესიულ ფეხსახსრიან არსებებად არიან მიჩნეული. მისი შხამის ტოქსიკურობა ციანიდისას უთანაბრდება.

კანადელმა თანამშრომლებმა ლატარია ერთად ითამაშეს და მილიონერები გახდნენ

კანადის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის სამი ათეული თანამშრომელი ერთდროულად გახდა მილიონერი. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი კანადური გამოცემა ავრცელებს.

31 თანამშრომლისგან შემდგარმა ჯგუფმა, რომლებიც ასევე ერთი პროფკავშირის წევრებიც არიან, ლატარიაში 60 მილიონი კანადური დოლარი მოიგო. ყველა იღბლიანი ქალაქ კომ ბაი ჩანსიში მდებარე ქარხანაში მუშაობს. ამ ქალაქში სულ 228 ადამიანი ცხოვრობს.

ახლადგამომცხვარი მილიონერები სამი თვის განმავლობაში ერთად ყიდულობდნენ ლატარიის ბილეთებს. შედეგად ისინი კანადის ისტორიაში ყველაზე დიდ მოგებას გაიყოფენ და თითოეული 1,9 მილიონ კანადურ დოლარს მიიღებს.

მოგებული თანამშრომლებიდან ხუთმა მაშინვე პენსიაზე გასვლა გადაწყვიტა, ხოლო დანარჩენები სამსახურს დაუბრუნდნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სჯანგოხდი



1. დიდი ზომის ქვეწარმავალი; 2. ... რიჩი; 3. სისწრაფე; 4. თხრობითი გაულექსავი ლიტერატურა; 5. საეკლესიო თანამდებობით ვაჭრობა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში; 6. ... ანდერსენ ნექსე; 7. პიტალო კლდე; 8. სოფელი ლეჩხუმში; 9. იუპიტერი ძველქართულად; 10. მდინარე ევროპაში; 11. ბელორუსის დედაქალაქი; 12. ქალაქის მუნიციპალიტეტი; 13. ტვირთის სათავსი ადგილი გემზე; 14. უღირსი მშობლის ფულადი სასჯელი; 15. წონის ერთეული; 16. იგივეა, რაც მოჩვენება; 17. ბერნარ ... (ფრანგი ქართველოლოგი); 18. მდინარე გურიაში; 19. იალქანი; 20. დროის მონაკვეთი კრივში; 21. ზაფხულის თვე; 22. მარტივი ცილა; 23. ქართული ვოკალური კვარტეტი; 24. ასო „ფ“-ს სახელწოდება; 25. მზის სისტემის პლანეტა; 26. დამხმარე თეორემა; 27. ქალბატონი (ინგლისურად); 28. სიგრძის ძველფრანგული საზომი ერთეული; 29. ფრანგული ჯიშის ცხვარი; 30. „... დამაცადე!“; 31. ქალის სამოსელი; 32. სანელებელი; 33. ლამების გვარის სამხრეთამერიკული ცხოველი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ხილარი; 2. კარე; 3. შერმადინი; 4. დანტე; 5. ფისკალი; 8. ბატონი; 9. ალტიმეტრი; 12. სუძუკი; 14. მატისი; 16. ისანი.

თარაზულად: 1. ხვანჭკარა; 6. მეცენატი; 7. ლომბერი; 9. არემჯი; 10. მესა; 11. ლორნეტი; 13. ხომლი; 15. რუბიკი; 17. ვიკონტი; 18. კურაგა; 19. პრესტო; 20. გინიოლი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დოფინი; 2. ტილი; 3. ალგოლოგია; 4. ანეტო; 5. ხორშაკი; 8. გუთანი; 9. თითლიბაზი; 12. კრეოლი; 14. როსინი; 16. იუანი.

თარაზულად: 1. დეპორტივო; 6. ფლამინგო; 7. ფრეგატი; 9. თაგორი; 10. სოდა; 11. ბაგიათი; 13. ბერნი; 15. კრუიფი; 17. ლაკმუსი; 18. ყოჩები; 19. ავანსი; 20. სიმინდი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

5 მარტისთვის

- აშშ დოლარი — 2.4634
- ევრო — 3.0268
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3951
- 100 რუსული რუბლი — 4.3429

ამინდის პროგნოზი 5 მარტისთვის

27 თებერვლიდან

შიო გვეტაძე

მონანიება

ქართული დეტექტივი
ტომი 14

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

7 მარტიდან

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

9 მარტიდან

60 ამბავი უცხოეთში დაკარგული ქართველები

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



14 მარტიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

ქალი ჩანთაში

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ცალფეხა მოდელი პოდიუმს დაუბრუნდა

27 წლის მოდელი, როზალინა ოქტავია, რომელმაც ქირურგის შეცდომის გამო ფეხი დაკარგა, პოდიუმზე დაბრუნდა და საქველმოქმედო ორგანიზაციის ელჩი გახდა.

2010 წელს ოქტავია მოტოციკლით მგზავრობის დროს ავარიაში მოყვა და მყესები დაუზიანდა. ტრავმის შემდეგ ის სირბილსა და ვარჯიშს ვეღარ ახერხებდა, ამიტომ რამდენიმე წლის შემდეგ ისევ ექიმებს მიმართა დახმარებისთვის. გოგონა ინდონეზიის საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც მყესების აღდგენის ოპერაცია გაუკეთდა. ამის შემდეგ მას მუხლი დაუსივდა და ხუთი დღის შემდეგაც კი არ ჩამცხრალა.

მეორე საავადმყოფოში გოგონას აცნობეს, რომ ქირურგმა, რომელმაც ოპერაცია გაუკეთა, შეცდომით ერთ-ერთი არტერია გადაუჭრა. მას სხვა სისხლძარღვი გადაუნერგეს, მაგრამ ამან ვერ უშველა. სისხლის მიმოქცევის შეწყვეტის გამო გოგონას დაეწყო განგრენა და ექიმები იძულებულნი გახდნენ, ფეხის ამპუტაცია გაეკეთებინათ.

ამპუტაციამდე ოქტავია სამშობიაროში მუშაობდა და, გარდა ამისა, მოდელიც იყო. უფეხოდ დარჩენილი გოგონა შიშობდა, რომ მოდის სამყარო მისთვის საბოლოოდ დაიხურებოდა, თუმცა ერთი წლის წინ სინგაპურში გადავიდა საცხოვრებლად და ახალი სამოდელო პორტფოლიო მოამზადა. ამის შემდეგ ისევ მიიწვიეს პროფესიონალურ გადაღებებზე, შემდეგ კი სინგაპურის ფეშენ შოუშიც მიიღო მონაწილეობა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– სამედიცინო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ყოველთვის ვიბან ხელებს, ვიცი, რომ მოვკვდები და ვერაფერს შევცვლი, ვიცი, სინამდვილეში საიდან ჩნდებიან ბავშვები, პრაქტიკულად, აღარ არსებობს ისეთი რამ, რაც მადას დამაკარგვინებს და კიდევ ძალიან მეშინია ექიმების, განსაკუთრებით – ჩემი თანაკურსელი ექიმების.

•••

უნივერსიტეტში გამოცდაა. დეკანმა აუდიტორიაში შეიხედა და პროფესორს ეკითხება:

– გამარჯობა, რომელი ჯგუფია?

– 22-ე.

– რისი გამოცდაა?

– უმაღლესი მათემატიკის.

– ალბათ გადაწერის ბევრი მოყვარული გეყოლებათ.

– არა, მოყვარულები უკვე გარეთ არიან. აქ მხოლოდ პროფესიონალები დარჩნენ.

•••

წინა ღამით ქეიფის შემდეგ ოფიცერს დაეძინა და დილით სამსახურში დააგვიანდა. ტელეფონი რეკავს:

– დიახ, გისმენთ!

ქალის სასიამოვნო ხმა ეუბნება:

– ბატონო ოფიცერო, სექსი ტელეფონით გნებავთ?

– რა თქმა უნდა, მინდა!

– კარგით, ახლავე ნაწილის უფროსთან შეგაერთებთ.

•••

ზოოპარკში ცნობილი გორილას სანახავად ქალი თავის 16 შვილთან ერთად მივიდა, მაგრამ კარში ზოოპარკის თანამშრომელი ეუბნება:

– ქალბატონო, სამწუხაროდ, დაგაგვიანდათ, ზოოპარკი უკვე დაიკეტა.

აღშფოთებული ქალი ეუბნება:

– ეს როგორ შეიძლება, რამსიშორიდან სპეციალურად ჩემს ბავშვებთან ერთად ჩამოვედი!

– როგორ, ესენი ყველანი თქვენი შვილები არიან?

– დიახ.

– არ წახვიდეთ, აქ დამელოდეთ, ახლავე გორილას მოვიყვან. ეს მან აუცილებლად უნდა ნახოს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

21 თებერვლიდან

მაკა სეფაშვილის

დანამაული აღარ მოხდება

„ქართული დეტექტივის“ მე-8 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი



1 მარტიდან

კანდიდ ჩარკვიანი

სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

16 მარტიდან

100 ამბავი მსოფლიო მონარქები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ბრაზილიელებმა ანაკონდას ძაღლი გამოსტაცეს

ბრაზილიური სოფლის მცხოვრებლებმა გადაარჩინეს ძაღლი, რომელიც ანაკონდას ჰყავდა დაჭერილი. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

აღნიშნული შემთხვევა ვიდეოზე იქნა გადაღებული. ვიდეორგოლის ავტორის თქმით, ძაღლის გაუჩინარება მისმა პატრონმა შენიშნა. ის მის მოსაძებნად გაეშურა და მდინარეში ანაკონდა შენიშნა, რომელსაც მისი ძაღლი ჰყავდა დაჭერილი და მის გაგუდვას ცდილობდა.

მამაკაცმა ქვეწარმავალს კუდში სტაცა ხელი და თავის ორ მეგობართან ერთად წყლიდან ამოათრია. ის ძაღლის გათავისუფლებას შეეცადა, მაგრამ გველი, რომელსაც ის კისრით ეჭირა, არ უშვებდა.

მაშინ მამაკაცმა ჯოხს სტაცა ხელი და ანაკონდას რამდენჯერმე ჩასცხო. მხოლოდ ამის შემდეგ შეასუსტა გველმა ცხოველზე შემოხვეული რგოლები და ძაღლმა მის მარწუხებს თავი დააღწია, განზე გახტა და ყეფა დაიწყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დავიდე ასტორი სასტუმროში გარდაცვლილი იპოვეს

იტალიურ საფეხბურთო სამყაროში ტრაგედია დატრიალდა – ფლორენციის ფიორენტინას კაპიტანი დავიდე ასტორი გარდაიცვალა.



ფლორენციული კლუბს გუშინ უდინეზეს წინააღმდეგ უნდა ეთამაშა, მაგრამ უდინეს ერთ-ერთ სასტუმროში, სადაც ფიორენტინას ფეხბურთელები იყვნენ დაბანაკებული, 31 წლის დავიდე ასტორი საძინებელ ოთახში გარდაცვლილი დახვდათ.

ფიორენტინას მიერ რამდენიმე წუთის გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ასტორი ძილში გარდაიცვალა და უცნაურმა დაავადებამ იმსხვერპლა.

მას კარიერის განმავლობაში მილანში, კალიარიში, რომასა და ფიორენტინაში უთამაშია, ხოლო იტალიის ნაკრების ფორმა 14 შეხვედრაში მოირგო.

დავიდე ასტორი 2 კვირის წინ მამა გახდა...

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ჯოხსვოხდი

თარაზულად: 6. ნაგვის ასაღები ნიჩაბი; 7. რეგრესის საპირისპირო; 8. ინფექციურ დაავადებათა გამომწვევი მიკროორგანიზმი; 9. რუსული ხალხური სიმებიანი საკრავი; 10. ბუნებრივი ქიმიური ნაერთი ან ელემენტი; 11. რვიანის ფორმის ფუნთუშა; 15. წინა აზიის ძველი ენების (ასურული, ბაბილონური, ...) და კულტურის სპეციალისტი; 17. ყვავილი; 19. ბრმადმორწმუნეობა; 21. იბნ სინა ანუ ... (პოეტი, ექიმი, ფილოსოფოსი); 22. უზომო შექება, ხოტბა; 23. მოხეტიალე მუსლიმანი ბერი.

შვეულად: 1. დაუმტკიცებლად მიღებული თეორემა; 2. გრძელი, დახურული მსუბუქი ავტომობილი; 3. პატარა მოთხრობა; 4. სახელმწიფო აფრიკაში; 5. ადამიანი, რომელიც საცხოვრებელს იცვლის; 8. რისამე ნაირსახეობა; 12. ერთ-ერთი თითი; 13. ჯონ აპდაიკის რომანი; 14. ლითონის სამკაული (ბალთა, აბზინდა) სამოსელზე (მოძვ.); 16. ტრანკვილიზატორი; 18. ავადმყოფური მიდრეკილება რაიმესადმი; 20. ერთხმიანი საოპერო სიმღერა.



შეადგინა ოლივერ კოხიამ